



ქართული ეპოქები

57



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ქვეყნული
ბიბლიოთეკა

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



ეროვნული
ბიბლიოთეკა



იღუთის ნათლისმცემლის გუმბათიანი ეკლესია (V-VI სს.)
რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

Идлеги. Церковь Ивана Крестителя (V—VI вв.).
До и после реставрации.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერია: „მათრიალური კულტურის ძეგლები“

ქეკელის ქეობარი

კრებული ორმოცდამეჩვიდმეტი

შეგნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს



შინაარსი

| | |
|--|-------|
| ირაკლი ციციშვილი — კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში | 5 |
| ილია აბაშია — ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება | 7 |
| პასპარიონ ჯორჯანიანი — სოფელ სიონთგორის სამონასტრო კომპლექსი | 20 |
| გია ჰანიშვილი — ძეგლთა დაცვის ზოგიერთი საკითხის შესახებ | 24 |
| მისივე ლექსები — შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლები კრანსოდარის მხარეში | 30 |
| გორის კანდალანი — ათასი წლის ქართული სავანე | 36 |
| ზაურ აბრამ — ბიკინთის ნაქალაქარის სიძველენი | 40 |
| ჯონი აბაშიანი — ენგურისა და აბაშის ორმდინარეთში ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები | 46 |
| სოკრატ სალუქვაძე — მაღალანთ ტაძრის საიდუმლოებანი | 54 |
| ფლორ დავაბრიანი — ანჩისხატის გულანის შემკვეთი — კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახორი | 60 |
| ნინო თომაძე — უველა ძეგლს მოფრთხილება უნდა | 66 |
| რუსუდან გვარდციანი — ძეგლების ნამდვილი მეგობარი | 69 |
| ლევან ხიმშიაშვილის ხსოვნა | 70 |
| ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე. | 72—79 |

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|--|-------|
| О состоянии охраны памятников культуры Грузии | 5 |
| И. Абашия — Архитектура монастырского комплекса Эки | 7 |
| В. Джорбенадзе — Монастырский комплекс селения Сионгори | 20 |
| Г. Чаншвили — О некоторых вопросах по охране памятников | 24 |
| М. Ложики — Средневековые памятники грузинской архитектуры в Краснодарском крае | 30 |
| Б. Кандалики — Тысячелетняя грузинская обитель | 36 |
| З. Агра — Древности Пицундского городища | 40 |
| Дж. Абакидзе — Новые находки бронзовых топоров в междуречье Ингури и Абаши | 46 |
| С. Салуквадзе — Тайны Магалаантского храма | 54 |
| Ф. Давариани — Заказчик миниатюр Анчисхатского гулаи — католикос Николоз Амилახори | 60 |
| Н. Томадзе — Памятники культуры требуют бережливого отношения | 66 |
| Р. Гвардцители — Истинный друг памятников | 69 |
| Памяти Л. М. Химшиашвили | 70 |
| Аннотации на русском и английском языках | 72—79 |

ბარბანაძე — სამწერისი (VII ს.) აღდგენის შემდეგ.
რესტავრაციის ავტორი ლევან ხიმშიაშვილი.

На обложке — Самцвериси (VII в.)
после реставрации. Автор Л. М. Химшиашвили.

კარგ ტრადიციად იქცა ღირსშესანიშნავ თარიღებთან უოველი დარგისა თუ სფეროს მოღვაწეობის შეფასება და გააზრება.

უცილობელია, რომ კულტურის ძეგლთა დაცვის სფეროში უკანასკნელი წლების მანძილზე არსებითი და კეთილი ცვლილებები მოხდა. სსრკ უმაღლესმა საბჭომ და რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღეს კანონი — „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. ამ კანონში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა სახელმწიფო ქმნის ყველა პირობას ძეგლების დაცვისა და მათი გამოყენებისათვის, ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული, პატრიოტული, იდეურ-ზნეობრივი, ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მიზნებისათვის. ძეგლების სავალდებულო დაცვა აისახა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაშიც და ამგვარად იგი მიჩნეულია, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანოების დიდმნიშვნელოვან საქმედ, ასევე თითოეული საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობად.

1977 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა შესწავლის, მოვლა-პატრონობის და გამოყენების მხრივ. შეიქმნა ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო და ამის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა ძეგლების გამოვლინების, შესწავლისა და დაცვის საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობა, იქმნება მძლავრი სამშენებლო ბაზები, დაიწყო რესტავრატორთა კადრების გეგმიანი მომზადება.

აღნიშნული დადგენილების შედეგად გაიზარდა აგრეთვე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობანი და მოვალეობაც, ამალდა პასუხისმგებლობა, განმტკიცდა საზოგადოების ფინანსური ბაზა, საგრძნობლად განვითარდა მასობრივი პროპაგანდისტული მუშაობა.

სამი წლის წინათ, პირველად საქართველოში დაიწყო ყველა ტიპის ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაცია. ამჟამად დამთავრებულია ისეთი რთული რაიონების ძეგლების აღრიცხვა, როგორცაა: გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის და საჩხერის რაიონები.

თუ წარსულში რესტავრაციას ექვემდებარებოდნენ ძირითადად საკულტო ძეგლები, ამჟამად მიმდინარეობს ყველა სახის ძეგლების გამაგრება და რესტავრაცია. ასეთებია — ციხეები, სასახლეები, ქარვასლები, ხიდები, დარბაზები, აბანოები, საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობანი — ყველაფერი რაც ასახავს საქართველოს მატერიალურ და მხატვრულ კულტურას.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა დასაცავ ძეგლთა ქრონოლოგიური დიაპაზონი. ამჟამად დაცვას ექვემდებარება ყველა ძეგლი დაწყებული უძველესი V-IV ათასწლეულის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან ვიდრე საბჭოთა პერიოდის ძეგლებამდე.



განსაკუთრებული ურადღება ეთმობა კედლის მხატვრობას. სამსაქმედო მუშაობის მორჩენილი ფრესკული ფერწერა მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ცილებელია მათი გამაგრება და ფოტოფიქსაცია.

მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება ქვის ეროზიის, პარაზიტული მცენარეების წინააღმდეგ და სხვ.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს მუზეუმ-ნაკრძალთა მთელი სისტემის შექმნა, ასეთებია: მცხეთის, ვარძიის, უფლისციხის, დავით-გარეჯის, გრემ-ნეკრესის, ჩუაშის, ნოქალაქევის, ქუთაის-გელათის, ვანისა და ალბათ იუალთოს მუზეუმ ნაკრძალები, ამას უნდა დაემატოს — თბილისის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და უოფის მუზეუმი და სათაფლიას ნაკრძალი და სპეციალური მუზეუმი. ეს მუზეუმები უნდა გადაიქცნენ კულტურის მძლავრ კერებად და თავის რეგიონში ძეგლთა დაცვის საურდენ პუნქტებად.

სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა მრავალ მნიშვნელოვან ძეგლზე მათ შორის საზოგადოების ინიციატივითა და სახსრებით აღდგენილია: სვეტიცხოვლის კარიბჭე, მირიანისეული ეკლესია სამთავროში, გრემის ანსამბლი, ალავერდის კედლის მხატვრობა, ხობის ტაძარი, ქვათაბევის ტაძარი, აშუამად ტარდება რესტავრაცია ქოლაჯირის ციხეზე, მწვანე მონასტერზე ბორჯომის რაიონში, გუდარეხის ანსამბლზე, ნინოწმინდის კომპლექსზე, ძველსა და ახალ შუამთაში და სხვ.

მაგრამ მაინც ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა ხალხის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის შეგნება, რომ კულტურის ძეგლთა დაცვა-მფარველობა ყველასათვის მოთხოვნილებად იქცა. ამგვარად ძეგლთა დაცვა ელიტურ მოღვაწეობიდან საერთო, საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა.

ჩვენს მოწოდებას — „არც ერთი ძეგლი პატრონის გარეშე“ გამოებმასურა მრავალი ორგანიზაცია: მოსწავლეები, სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები. ათასამდე მსხვილი ორგანიზაცია ანბორციელებს შეფობას ძეგლებზე და ეს მუშაობა ხშირად მეტად მნიშვნელოვანია.

ფართო პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად (პრესის, რადიოს და ტელევიზიის სისტემატური და გეგმიანი გამოხმარებანი) მნიშვნელოვნად შემცირდა წარწერები ძეგლებზე, აღარაა ძეგლების შეგნებული განადგურების ან შელახვის ფაქტები.

ჩვენი ძეგლები, რომლებიც მუდამ ეროვნული ენერჯიის და ხალხის ნიკის გამოსახულებას წარმოადგენდნენ, დღეს აღივსენ ახალი შინაარსით, მიიღეს ახალი ხარისხი და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიზმის მშენებელი ახალი აღმართის სულიერ ფორმირებაში.

ხალხს და ენერჯიას, ძეგლთა დაცვის ყველა ორგანოები არ დაიშურებენ ჩვენი ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს წინსვლასა და გამარჯვებისათვის.

აქის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება*

ინტარიმარი. ეკლესიის შიდა სივრცე კედლის მხატვრობის თვალსაზრისით არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. 1925 წლამდე კედლის მხატვრობა ფრაგმენტების სახით ზოგი ადგილზე გადარჩენილი ყოფილა, მაგრამ დღეს კედლებიდან ნაღესი ჩამოცვენილია, ზოგიერთი ადგილიც ჩამორეცხილია და კედლის მხატვრობაც (ფრესკები), რა თქმა უნდა მათთან ერთად უკვალოდ გამქრალა. ამრიგად შიდა ფერწერული მხატვრობიდან არაფერია დარჩენილი, ამიტომ კედლის მხატვრობის შესახებ ცხადია ვერაფერს ვიტყვი.

სამრეკლო. აქის ნათლისმცემლის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში სამრეკლოს თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი გალავნის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეშია ცალკე აგებული, ეკლესიიდან დაახლოებით 15 მეტრის მანძილზე. და ეკუთვნის საქართველოში გავრცელებულ განცალკევებით აშენებულ სამრეკლოების ჯგუფს.

სამრეკლო ორსართულიანია, პირველი სართულის გეგმას კვადრატთან მიხლოებული (ტრაპეციული) მოხაზულობა აქვს, რომელშიაც ჩახაზული წრეხაზის დიამეტრი 420 სმ აღწევს. პირველი სართულის კედლის ქვის წყობა, კირის დულაბითაა ამოყვანილი, რომლის სისქე ირგვლივ ერთი მეტრია (გამონაკლისს წარმოადგენს სამხრეთის კედლის მარჯვენა მხარე, მისი სისქე 120 სმ აღწევს).

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე თითო სასინათლო სარკმელია დატანებული. ამ უკანასკნელის სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა ნალობია გამოჭრილი, ხოლო დასავლეთის კედელზე კი 10 სმ დიამეტრის სათოფურია დატანებული (იხ. სამრეკლოს პირველი სართულის გეგმა) სამრეკლოს მეორე სართულის გეგმის კომპოზიციას წრეხაზის მოყვანილობა აქვს, რომელიც როტანდას ტიპის შენობას მოგვაგონებს; როგორც გადმოცემით ირკვევა იგი პირამიდისებრი ფორმის გუმბათით ყოფილა დაგვირგვინებული.

მეორე სართულზე დიდი კვეთის (100×95 სმ.) რვა მასიური სვეტი ყოფილა თლილი ქვისაგან ამოყვანილი, რომელთა შორის დღემდე მეტნაკლები დაზიანებით მხოლოდ ოთხმა მოაღწია (იხ. სამრეკლოს მეორე სართულის გეგმა და საერთო ხედის ფოტო).

სვეტებს შორის მალევი ირგვლივ ნახევარწრეხაზოვანი კამარებითაა შეკრული; როგორც ირკვევა სამრეკლო მთლიანად, სათუთად გათლილი ქვის პერანგით ყოფილა შემოსილი-სამრეკლოს გადარჩენილი კედლის ფრაგმენტებიდან ბევრი ჩუქურთმიანი ქვა ამოვარდნილი და იქვე სამრეკ-

* დასასრული. იხ. „მეგლის მეგობარი“ № 55.



ლოს ძირთან ყრია (იხ. ფოტო). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამრეკლოს პირველი სართულის პერანგის ქვის კვადრები ჩამონგრეულია და მათი კვალი ახლა არსად ჩანს.

სამრეკლოს მეორე სართულის (ფანჩატურის) ქვის პერანგი სხვადასხვა ზომის და მოხაზულობის ცალობრივად გათლილი ქვებისაგანაა გამოჭრილი, რომლებიც ერთმანეთზეა მორგებული და წყობის ორიგინალურ სახეს ჰქმნის. ქვის წყობის ასეთი სტრუქტურა ქართული მონუმენტური ძეგლებისათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ იგი ნამდვილ ტრადიციულ ხუროთმოძღვრულ საკუთარ ხელნერას წარმოადგენს (იხ. სამრეკლოს ფოტო).

სამრეკლოს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მორთულობა. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ეკის სამრეკლოს მხატვრული მორთულობის სიუჭეტები და ცალკეული მოტივები იმდენად ჰარმონიულადაა ერთმანეთთან შერწყმული და მდიდრულად წარმოდგენილი, რომ დეკორული გადაწყვეტის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ქვაზე მხატვრული კვეთილობის ხელოვნება აქ მაღალ დონეზეა ფილიგრანული სიზუსტით შესრულებული.

სამრეკლოს ფანჩატურის თითოეულ (ნახევარწრეხაზული მოყვანილობის) კამარას ირგვლივ შემოვლებული აქვს სამრიგად ერთმანეთთან მიჯრილი ლილვები, რომლებიც სვეტის თავის კარნიზის ზედა თაროს ცენტრიდან იწყება (კამარის ქუსლთან) და ბოლოვდება იმავე კამარის მეორე ქუსლთან.

აღსანიშნავია, რომ კამარებს შიგნიდან კონცენტრულად შემოუყვება განიერი ზოლები, რომლებიც ქვაზე კვეთილობის უნიკალური აფურულ-დეკორატიული ელემენტებითაა მორთული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტილიზებული ხატოვანი ორნამენტები სვეტებზე და კამაროვან არშიებზე ერთნაირი არცერთი არაა. განუმეორებელია თითოეული მათგანის მხატვრული დამუშავების კოლორიტული სახე, რომელიც „განუმეორებლობის კანონითაა“ შესრულებული და ძეგლს ორიგინალობას ანიჭებს (იხ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ. 1964, გვ. 192).

სამრეკლოს ფანჩატურის მხატვრულად დამუშავებულ სვეტების თავზე მცირე ზომის სწორკუთხოვანი სარკმელებია გამოჭრილი, რომელთა ჩარჩოები ნატიფი-ხატოვანი ორნამენტებითაა მორთული.

ზემოსხნეებული თითოეული პატარა სარკმლის თავზე, ფანჩატურის ცილინდრული კედლის ზედაპირზე ჩასმულია კიდევ ერთი საინტერესო არქიტექტურული სამკაული ნახევარელიფსოიდური ფორმის ე. წ. „ძუძუკები“ ანუ კოპები, რომელთა ზედაპირები მთლიანად მაღალრელიეფური წნული ორნამენტითაა დაფარული.

სამრეკლოს (ექსტერიერის) პირველი სართული გამოყოფილია მეორე სართულისაგან ორი, შეწყვილებული ლილვით, რომელიც კარნიზად




ქართული
ენციკლოპედია



ესა... სამრეკლოს და მასზე მიშენებული
დიდების სერაჟო ხედი ჩრდილოეთიდან.

Экхи. Звонница и пристроенная к
ней темница. Общий вид с севера.





ეკი. კარიბჭის მარცხენა გვერდის უწესრიგოდ აღდგენილი კედლის ფრაგმენტი.

ეკი. კამაროვანი სარკმლის ჩარჩოს მოტივების ფრაგმენტი.

Эки. Фрагмент левой, беспорядочно восстановленной части паперты на западном фасаде церкви. (фото автора).

Эки. Фрагмент украшения сводчатой рамы окна на южном фасаде церкви. (фото автора).





ეკი. ეკლესიის დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი კარიბჭის ზემოთ, ავტორის ფოტო.

ეკი. Фрагмент западного фасада церкви над папертью. (фото автора).

ეკი. მხატვრულად დამუშავებული კანკლის ქვა (X-XI სს.). ავტორის ფოტო.

ეკი. Художественно - обработанный камень иконостаса, (X-XI вв). (фото автора).



წულორნამენტიანი კანკელის ქვა (X-XI სს.), ავტორის ფოტო.



Эки. Камень иконостаса с плетеным орнаментом (X—XI вв.). (фото автора).

გასდევს მას; ხოლო ფანჩატურის კედლის ზედა ნაწილს, კოპების („ძუძუ-კების“) გასწვრივ ირგვლივ გასდევს კიდევ ერთი ლილვი. აღნიშნულ ლილვზე, ქვის პერანგის კვადრების ერთი რიგის შემდეგ მასზე, გარშემო დალაგებულია მარტივი ლეკალური პროფილის, სადად გათლილი, კარნიზის ქვები, რომელთა უმეტესი ნაწილი ამოცვენილია და დაკარგული.

შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცალკე აგებულ სამრეკლოთა შორის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით ეკის სამრეკლოს ბადალი არ ეძებნება. იგი ერთი იმათთაგანია, რომელიც საუკეთესოდ უნდა იქნას აღიარებული.

შიდილება ითქვას, რომ არსებობს ერთი ფრიად საინტერესო სამრეკლო, რომელიც ეკის სამრეკლოსთან აშკარა ხუროთმოძღვრულ სიახლოვეს ამჟღავნებს. ესაა შორეთის სამრეკლო (ასპინძის რ-ნი)⁸ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეკის სამრეკლო თავისი მსუბუქი პროპორციული ფორმებითა და მხატვრული დამუშავების ზუსტი გრაფიკული დეკორული გადაწყვეტით აშკარად გამოირჩევა დღემდე მოღწეულ სამრეკლოთა შორის და მეტად მომხიბლავ შთაბეჭდილებას ქმნის.

ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკის სამრეკლოს პირველი სართულის აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის ჩარჩოს მორთულობაში გამოყენებულია ისეთი მცენარეული სტილიზებული ორნამენტი, რომლის იდენტური სახეები გავრცელებულია შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ძეგლების მხატვრულ დამუშავებაში, იგი გვხვდება ისეთ ძეგლებში, როგორცაა წრომი (VII ს.), ფოთოლეთი (X ს.)⁹ და სხვ.

ეკის სამრეკლო პირველად როგორც ექსკურსანტმა 1940 წ. ვიხილე, მაშინ სამრეკლოს მეორე სართულზე რვა სვეტიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ხუთი, (ზოგიერთი ფოტო მაშინდელი გადაღებულია) ამჟამად და-



რჩენილია ოთხი. ამ ძეგლის მეორედ ნახვა მისი დეტალური შესწავლის მიზნით მოხერხდა 1978 წ.* სამრეკლო ახლა გულსაკლავად გამოიყურება დაუდებელი შველაა საჭირო, სანამ სამრეკლოს ფანჯატურის დარჩენილი (კამარებით შეკრული) სვეტები ჯერ კიდევ „ფეხზე დგანან“. მათი ხსნა რამდენიმე წლის შემდეგ შეუძლებელი გახდება, რაც მეტად დასანანია. საჭიროა ამ ჭირვარამგამოვლილ ძეგლს ალუდგინოთ პირვანდელი სახე და „გაუხანგრძლივოთ სიცოცხლე“ ამას იგი სამართლიანად იმსახურებს, როგორც წარსული საუკუნეების სიღრმიდან „მოსული“ დიდებული ისტორიული ძეგლი, რომელიც მრავალი ათეული წლების მანძილზე გულგრილობის შედეგად დღეს უკვე მსხვერპლად ეწირება წარსულის უგუნურობას.**

პ ა ლ ა ტ ი; სამრეკლოს აღმოსავლეთით (470 სმ. დაშორებით) გალავნის ჩრდ. მხარეზე შემორჩენილია ორსართულიანი შენობის ქვითკირის ნანგრევები, რომელსაც „ძველ პალატს“ უწოდებენ.

საბა ორბელიანის განმარტებით პალატი არის „ვრცელი და დიდი სახლი“ (ლექსიკონი). ეკის კომპლექსში შემავალი პალატი, მართლაც ვრცელი და დიდი სახლია, მისი გეგმა სწორკუთხედს წარმოადგენს; პირველი სართული ერთი დიდი დარბაზისაგან შედგება (590 × 785 სმ.) მეორე სართული ზუსტად პირველი სართულის პერიმეტრზეა დაშენებული.

კედლები აგებულია ნამსხვრევი და ადგილობრივი კაჭარის კირქვისაგან მოჭარბებული კირის დულაბზე. ზურგის კედლად გამოყენებულია გალავნის კედელი, რომლის შუაში დატანებულია 70 სმ. სიგანის კედელზე ამყოლი ორი სვეტი (პილასტრი), რომლებიც კედლიდან 30 სმ-თაა გამოწეული და ერთმანეთისაგან დაშორებულია 200 სმ; მოპირდაპირე წინა კედელზედაც ანალოგიური პილასტრები მეორდება, რომლებზედაც გათლილი ქვებისაგან შეკრული ოდნავ შეისრული თაღის ქუსლები ებჯინება.

მეორე სართულის წინა კედელი მთლიანად ჩამონგრეულია, მისგან არაფერი დარჩენილა გარდა ნაშალი ქვებისა. ასევე მეტნაკლებად დაქცეუ-

* ულრმეს მადლობას მოვახსენებ ცხაქაიას რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს, ცხაქაიას რაიონის ძველთა დაცვის საზოგადოების თავრის მოვალეობის შემსრულებელ ტარიელ დგებუაძეს იმ გულწრფელი და ეფექტური დახმარებისათვის, რომელიც მან გაკეთა ამ ძეგლის მასალების შეგროვების საქმეში; მისი დახმარების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით ეკის კომპლექსის შესახებ აქ წარმოდგენილი საინტერესო მასალების გამოქვეყნებას. ასევე დიდ მადლობას მოვახსენებ ცხაქაიას რაიონის კულტ. განყოფილების გამგეს, აკაკი ვანგიას, ძველთა დაცვის მოამბევებს არჩილ წორღავას, ჭენეტა და შალვა ადამიებს და სხვ.

** ახლა სხვა დრო დადგა, მას უკვე გამოუჩნდა საიმედო პატრონი და მფარველი, უამრავი გულშემატკივრები; საქართველოს ძველთა დაცვის სამმართველოს გარდა მასზე დიდ მზრუნველობას იჩენენ თვით ცხაქაიას რაიონის ზღმძღვანელობა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის და მზეფის ციხე-სიმაგრის რესტავრაციის შეფომა გადაწყვეტილი აქვთ ვ. ი. ნუნინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგად ტექნიკური კათედრების კოლექტივს; მის პარტიულ-კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციების ზღმძღვანელობასა და ძველთა დაცვისა და რესტავრაციის ახალ არჩეულ გამგეობას.



ლია აღმოსავლეთისა და ზურგის კედლებიც, რომლებზედაც (სამრეკლოს მხარეზე) ჯერ კიდევ მთლიანად დგას, რომელშიაც გალავნის მხარეზე კარის ღიობია დატანებული. როგორც ჩანს ამ კარის მეშვეობით პალატისა და სამრეკლოს მეორე სართულებს შორის მყარდება კავშირი ხიდური გადასასვლელით.

დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ პალატის ფასადების მხატვრული დამუშავების შესახებ ცხადია არაფრის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან შენობის გარე ზედაპირიდან მთლიანად ჩამოცვენილია პერანგის ქვები, რომელთა ნასახიც კი დღეს აქ არსად იძებნება.

დ ი ლ ე მ ი. ცნობილია, რომ ციხეებისა და მონასტრების გალავნებთან ან სხვა ნაგებობათა შორის ძველთაგანვე დილეგებიც უშენებიათ. როგორც ჩანს ამ ტრადიციას არც ეკის სამონასტრო კომპლექსი ღალატობს. სამრეკლოს კედელზე (ჩრდ. მხარეზე) გალავნის გარეთ მიშენებულია ნახევრად ოვალური მოყვანილობის ქვითკირით ნაგები დილეგი, რომელიც ქვემო-დან ზევით თანდათანობით ვიწროვდება, გარედან იგი კონტრაფორსს წააგავს. ეს არის მცირე ტევადობის დახშული ნაგებობა, რომელსაც გვერდებიდან არსად შესაძრომი ან საშუქი ხერელიც კი არ გააჩნია აქ მხოლოდ ზევიდან შეიძლება თოკით ჩასვლა. თუ მოვახერხებთ ზემოდან ჩახედვას იგი მოგვაგონებს „ამოკირულ წყუს“ (ჭას). ხალხური გადმოცემით, მასში „აგდებდნენ“ მძიმე დამნაშავეებს. გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის თ. სახოკიას გადმოცემით მას თვითონვე უნახავს ასეთი ანალოგიური დილეგი, რომელიც კარგად ყოფილა შემონახული XIX ს. მიწურულამდე მარტვილის მონასტრის მარცხენა მხარეზე, გალავნის გვერდით არსებულ კოშკთან.¹⁰ ეს ფაქტი მიუთითებს საერთოდ სამონასტრო კომპლექსებში არსებული ერთ-ერთი კომპონენტის ამ სახის უძველესი საპრობილეს ფართო გავრცელებაზე, რომელიც ეკის სამონასტრო კომპლექსში დღემდეა შემორჩენილი.

დატარებების საპიტიხისათვის. ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის (ოხვამეს) შესახებ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ცნობილი; რის გამოც აღნიშნული ძეგლის თარიღის დადგენა რა თქმა უნდა გაძნელებულია. ასეთ შემთხვევაში ძეგლის დატარებებისათვის უტყუარ საბუთს, თუ ასეთი ბედნიერი შემთხვევა არსებობს, წარმოადგენს ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც ძეგლის ისტორიის ერთ-ერთ ექვმიუტანელ წყაროს წარმოადგენს, ან კიდევ უნდა დავეყრდნოთ ძეგლის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ ანალიზს.

ეკის ეკლესიის ე. წ. პირველი კორპუსის დასავლეთის ფასადზე ზემოთ ორფერდიანი სახურავის ღია ფრონტონის ბოლო ქვაზე შემორჩენილია ლაპიდარული წესით, ასომთავრულით (მრგვლოვანით) შესრულებული ქარაგმიანი სამშენებლო წარწერა (იხ ფოტო) რომელიც შემდეგნაირად იკითხება:



„აღეშენა კარიბჭე
ესე ხელითა ივანე
ქოროჯანისძითა
შეუნდევნ ღმერთმან ამინ“.

როგორც ჩანს აღნიშნული წარწერა არ იძლევა უშუალოდ ძეგლის დათარიღების საშუალებას, რადგანაც მასში თარიღი არაა მოცემული, მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ წარწერაში მოხსენებული ქვეთხურო (ოსტატი) „ივანე ქოროჯანიძე“, ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის ადრინდელი კორპუსის აღმშენებელი არ უნდა იყოს, ვინაიდან ზემოხსენებული წარწერა დიდად შორდება ეკლესიის მშენებლობის პირველ პერიოდს. ეს მოსაზრება იმიტაც დასტურდება, რომ ქვა რომელზედაც აღნიშნული წარწერაა შესრულებული (ორფერდა სახურავის), ღია ფრონტონის წვერზე დადებული უკანასკნელი ქვაა, რომელიც კედლის ადრინდელ ნაგებობას არ შეიძლება მივაკუთვნოთ: ჩვენი აზრით იგი კარგა ხნით გვიან პერიოდშია წარწერისათვის შეუფერებელ ადგილზე მორგებული და წარწერაც უდაოდ კარიბჭის აღდგენის დროსაა შესრულებული. გარდა ამისა „ივანე ქოროჯანისძე“ თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი ხელით „აღეშენა კარიბჭე“ და არა ეკლესია.


ჩვენი აზრით „ივანე ქოროჯანისძის“ მიერ რესტავირებულია ეკლესიის დასავლეთის კარიბჭე (მეორე კორპუსის მშენებლობაც შეიძლება მას მივაკუთვნოთ), ხოლო დღევანდელი კარიბჭე, რომელიც უნესრიგოდაა აღდგენილი, ივანესეული რესტავირებული კარიბჭის ხელმეორედ აოხრების შემდეგაა (ანტირელიგიური პროპაგანდის პერიოდში) სახელდახელოდ შეკეთებული.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქვაზე კვეთილ მრგვლოვან ანბანთა პრიმიტიული მოხაზულობა და ლეფორმირებული მოყვანილობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული სამშენებლო წარწერა XV-XVI სს-ზე უფრო ადრინდელად არ გამოიყურება.

ამრიგად ასომთავრულით სამშენებლო წარწერა, კარიბჭის რესტავრაცია და ეკლესიის მეორე განყოფილების (კორპუსის) მიშენებაც უსათუოდ ერთდროულად უნდა მომხდარიყო, რომელიც XV-XVI სს. ფარგლებს არ სცილდება.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ღართოდაა გავრცელებული მცირე მოცულობის უფუმბათო ეკლესიების ე. წ. დარბაზული ტიპის (ეკის ნათლისმცემლის) იდენტური სქემის გეგმები, რომლებიც ერთ ქრონოლოგიურ წრეში თავსდებათ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ქართლიდან — სნეკვი — IX-X სს, არბო, დვისი, ვანატი (X ს.)¹¹ და მრავალი სხვ. სამხრეთ საქართველოდან თურქეთის ახლანდელ ტერიტორიაზე — იშხანი (მცირე ეკლესია) X-XI სს. ოთხთა ეკლესია (მცირე ეკლესია) IX-X სს.¹² საინგილოდან-ვაჩნაძიანთ ეკლესია (XII ს.) კასრის წმ. სამება VIII ს.¹³ და სხვ.

ამრიგად ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის პირველი კორპუსის გეგმის კომპოზიცია გეგმარების კომპონენტებით — კონსტრუქციული სტრუქტურ-





ეკი. ასომთავრული (ლაპიდარული)
წარწერა ეკლესიის დასავლეთის ფასადზე
(ავტორის ფოტო).

Эки. Уставная (лапидарная) над-
пись на древнегрузинском языке на
западном фасаде церкви. (фото ав-
тора).

ეკი. სამრეკლოს პირველი სართულის,
სარკმლის ჩარჩოს მორთულობა აღმოსა-
ვლეთის ფასადზე. ავტორის ფოტო.

Эки. Украшения оконной рамы на
восточной стене первого этажа звон-
ницы. (фото автора).





ეკი. სამრეკლოს გეგმა. ავტორის ან-
აზობი.

Эки. План звонницы. (фото ав-
тора).

რითა და ხურთამოდერულ-მხატვრული დამუშავების მოტივებით ზემოს-
სენებული ეკლესიების გეგმის კომპოზიციუების განბეორებას წარმოადგენს.
ყოველივე ამის შემდეგ უფლება გვაქვს ეკის ნათლისმცემლის ეკლესია ტი-
პოლოგიურად და ქრონოლოგიურადაც შემოადნიშნული ეკლესიების
გვერდით დავაყენოთ, რაც არავითარ ეჭვს არ იწვევს, რის საფუძველზე-
დაც ეკის ნათლისმცემლის ადრინდელი გეგმა (პირველი კორპუსის მშენებ-
ლობა) შეიძლება დავათარილოდ X-XI სს, თუმცა არც ისაა გამოირიცხული,
რომ მისი აგების თარიღი ადრინდელ ხანასაც მივაკუთვნოთ, (იხ. ეკის ნა-
თლისმცემლის ეკლესიის გეგმა, რეკონსტრუქცია ავტორის).



ეკი. სამრეკლოს ჩუქურთმობიანი „ძაღუ-კის“ (გირჩი) ქვა.

Эки. Орнаментированный, шашко-образный камень звонницы.

ეკის სამრეკლო რა თქმა უნდა ზემოაღწერილი ეკლესიის და არც პალატის თანამედროვედ არ შეიძლება მივიჩნიოთ. ჩრდილოეთის მხარეზე სამრეკლოს ერთ-ერთი თაღის შიდა ზედაპირზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერა, მაგრამ სამნუხაროდ არც აქაა აშენების თარიღი მოცემული, ამიტომ ზუსტი დათარიღების შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

დადგენილია, რომ საქართველოში გავრცელებული ტიპური სამრეკლოები XIII საუკუნეზე უფრო ადრინდელი, ჯერჯერობით სამეცნიერო ლიტერატურაში არაა ცნობილი; გამონაკლისს არც ეკის სამრეკლო წარმოადგენს. ამრიგად ეკის სამრეკლოს დათარიღების საკითხი ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით და ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე, რა თქმა უნდა XIII საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ.

შედარებამ გვიჩვენა, რომ შორეთისა და ეკის სამრეკლოები ხუროთმოძღვრული დამუშავების ასპექტებით მართალია ერთმანეთთან ახლოს დგანან, მაგრამ მიუხედავად ამისა ეკის სამრეკლოს აქვს ისეთი საკუთარი განმასხვავებელი ნიშნები, რომ არ შეიძლება მათი მშენებლობის თარიღი ერთი და იგივე ხანას მივაკუთვნოთ.

ეკის სამრეკლოს მხატვრულ — დამუშავებაში გამოყენებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტილიზებული ორნამენტების გრაფიკული სიზუსტით ქვაზე კვეთილობის შესრულების ფილიგრანული ხერხები, უნდა მივიჩნიოთ, XIII-XIV სს. ხუროთმოძღვრულ-მხატვრული კულტურის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად, რომელიც ჰქმნის ისეთ სურათს, რომ ეკის სამრეკლოს მშენებლობის პერიოდად შეიძლება ვივარაუდოთ XIII-XIV სს.

ზემოხსენებული „პალატის“ თარიღის დადგენაც ძალზე გართულებულია, რადგანაც შენობას ირგვლივ შემოძარცვული აქვს ქვის პერანგის სამოსელი, ამიტომ ეპიგრაფიკის გამოვლენის, ან კიდევ ხუროთმოძღვრულ,



მხატვრული ანალიზის გაკეთების საშუალებას არ იძლევა, რომ შესაძლებელი იყოს მათზე დაყრდნობა და სათანადო დასკვნების გამოტანა.

ჩვენი აზრით „პალატი“ კარგა ხნით ადრე უნდა იყოს აგებული ვიდრე სამრეკლო. პალატის კედლებზე შემორჩენილი პერანგის ერთეული ქვების მსგავსება ეკლესიის პერანგის ქვებთან, რომელშიაც ძველი ეპოქების დანალექები ილანდება, გვაფიქრებინებს მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეზე. რა თქმა უნდა ჯერჯერობით ძნელია ყველაფერი იმის ამოცნობა, რაც აქ საუკუნეების ფენებშია ჩაკირული. ამიტომ საბოლოო სიტყვა მაინც არქეოლოგიას ეკუთვნის.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ეკის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვარ — მშენებლებმა, ეგრისელ ქვითხუროებმა ზემოხსენებულ მცირე მოცულობის ძეგლების მხატვრულ დამუშავებაში გასაოცარი მხატვრული ალღოთი და მაღალი ოსტატობით შესრულებული ნატიფი ორნამენტების დიდძალი მემკვიდრული საგანძური შექმნეს, რომლებშიაც თავიანთი ნიჭი და მხატვრული ფანტაზია ქვაზე კვეთის ხელოვნებაში ჩააქსოვეს და როგორც მატერიალური კულტურის ფასეულობანი დაუტოვეს თავიანთ შთამომავლობას.

საჭიროა ეკის კომპლექსში შემავალი ზოგიერთი ძეგლის გადაუდებელი რესტავრაცია; ის რაც დღემდე შემოგვრჩა იმას მაინც თვალისჩინივით უნდა მოვლა და დაცვა.

ფიქრობთ ეკის კომპლექსის აღდგენა შესაძლებელია „სახალხო ენთუზიაზმის“ ძალებით, რომელსაც არ უნდა მოაკლდეს საზოგადოებრივი ზრუნვა და მხარდაჭერა. ეკის სამონასტრო ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღდგენა გადანწყვეტილია და უნდა მოხდეს თანდათანობით.

8. Е. Такашвили, Шорети, Материалы по археологии Кавказа, выпуск XII, 1909, гл. 10-13. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 211—214.

9 რენე შერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 46.

10 კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი თ. სახოკიასი, ტფ., 1927, გვ. 5.

11 რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, საქართველოს ისტორიული პროვინციის — შიდა ქართლის მთის ნაწილის ხუროთმოძღვრება, თბ., 1975, სურ. 83, 88 და სხვ.

12 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960 ტაბ. 33, 115.

13 ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წიგნი მესამე, სიინგილო, თბ., 1979, სურ. 83, 85.



სოფ. სიონგორა, კოშკის და ეკლესიების ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სელ. სიონ-გორი. Церкვი и башня вид с юго - востока.

ბესარიონ ჯორბანაძე

სოფელ სიონგორის სამონასტრო კომპლექსი

ერწოს ველის (თიანეთის რაიონი) სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფ. სიონგორთან, მალღობზე, მდებარეობს არჩილის სამონასტრო კომპლექსი¹, რომელიც შედგება ორი ეკლესიისაგან, კოშკისაგან, მარნისაგან და საცხოვრებელი სათაჯის ნანგრევებისაგან².

წერილობით წყაროებში და ზოგიერთ გამოკვლევებში ეს მონასტერი მოხსენებულია შემდეგი სახელწოდებით: ნადოკრა, ნოდოკრა, ნაკორნა, ნოკორნა, ნოტკორა, არჩილის მონასტერი³.

პირველი ეკლესია დარბაზულია. მოპირკეთებულია შირიმის კვადრებით. სწორკუთხა შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. სამხრეთი სარკმელი საფასადო მხრიდან მოჩარჩოებულია სწორკუთხა ლილვით, რომელიც შირიმის კვადრებშია ამოკვეთილი. ტრაპეზის შირიმის ქვაზე ჯვარის რელიეფური გამოსახულებაა.

ეკლესიის შიგნით მდებარე დანგრეული სამარხი მიჩნეულია VIII საუკუნის ქართლის მეფის არჩილ II (719-745 წწ)⁴ საფლავად, რომელიც აწამეს არაბებმა⁵.



სოფ. სიონთგორი, საკმედი პირველი ეკლესიის სამხრეთ კედელში.



სოფ. სიონთგორი. პირველი ეკლესიის ტრაპეზის ქვა ჭვარის გამოსახულებით.

Сел. Свонт-гори. Окно в южной стене первой церкви.

Сел. Свонт-гори. Камень трапезы первой церкви с рельефным изображением креста.

ისტორიული წყაროების მიხედვით მას მიეწერება ამ ეკლესიის აშენება⁴.

არჩილ II ზეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა⁷. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მასალებს იძლევა ატენის სიონის სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა, რომელიც ახლახან გამოვლენილი იქნა სრულად და წაკითხულია ახლებურად. ამ წარწერის პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ არჩილ II ზეობის წლები მოდის 719-745 წლებზე. აქედან გამომდინარე და ისტორიულ წყაროებთან შეჯერებით ირკვევა, რომ ქართლში და კახეთში არჩილის მოღვაწეობა იწყება 730 წლიდან, როცა ის გადმოდის ეგრისიდან: „გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა კიდრისასა“.⁵

ამავე პერიოდზე მოდის არჩილის გაცხოველებული სამშენებლო მოღვაწეობა კახეთ-პერეთში, როცა აშენებს ციხეებს და ეკლესიებს. ამ სამშენებლო მოღვაწეობის ერთ-ერთ კვალს წარმოადგენს ეკლესია სოფ. სიონთგორთან. ამაზე მეტყველებს როგორც ისტორიული წყარო აგრეთვე დღევანდელ სინამდვილეში ერწოში შემორჩენილი გადმოცემა.

ზემთ მოყვანილი უახლოესი მასალების გათვალისწინებით შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ იმ ეკლესიის აგების თარიღი, რომელიც არჩილს მიეწერება, სავარაუდოთ განესაზღვროთ 730-745 წლებით.

მეორე ეკლესია იდგა პირველი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ კარგად იყო შემონახული. ამჟამად ძლიერ დანგრეულია. ეკლესია დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო.



სოფ. სიონთგორა. შეისრული თაღები
კოშკის მეორე სართულზე.

Сел. Свонт-гори. Стрельчатые ар-
ки на втором этаже башни.

მას ჰქონდა შირიმის ქვევისაგან გათლილი კარნიზი. სწორკუთხა კოშკი აგებულია გვიან შუასაუკუნეებში. დასავლეთი კედლით მიდგმულია პირველი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, ხოლო ჩრდილოეთი — მეორე ეკლესიაზე. კოშკში შესასვლელი პირველ სართულზეა სამხრეთ მხრიდან, ხოლო ზედა სართულებში ვიწრო ასასვლელი დატანებულია აღმოსავლეთ კედელში. შემორჩენილია მხოლოდ მეორე სართულის იატაკი. მეორე სართულზე, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს შორის გამოყვანილია თანაბარი შეისრული თაღები. აღმოსავლეთ კედელში მცირე შეისრული სათოფურია.

მარანი მდებარეობს ეკლესიების ჩრდილოეთით. სანახევროდ მიწაში ზის. შედგება ორი სათავისაგან. პირველი, აღმოსავლეთით მდებარე, წარმოადგენს სანახლის განყოფილებას, რომელსაც სახურავი ჩაქცეული აქვს. კედლები ნაგებია რიყის ქვით. სანახლის განყოფილებიდან კარი გადის გუმბათიან დიდ სათავსში, რომელსაც ოთხივე კუთხეში გამოყვანილი აქვს შეისრული თაღები. მათზე დაფუძნებულია სფერული გადახურვა. გუმბათისებრ თაღში, შუაში, დატანებულია მრგვალი ხერელი (ერდო) განათებისათვის. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ მოწყობილია განიერი ხარისხი. მარანში შემორჩენილია რვა ქვევრი. სანახლის განყოფილებიდან მარანში, აღმოსავლეთ კედელში, გადის თიხის მილი, რომლის გამოსასვლელთან იატაკში ჩასმულია ქვევრი.

მარანის და აგრეთვე კოშკის ხუროთმოძღვრებაში იგრძნობა გვიანი შუასაუკუნეების ტიპიური ნიშნები (უხეში ნყობა, ისრული თაღები და სხვა), რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართლ-კახეთის XVII-XVIII სს. ხუროთმოძღვრებისათვის.

საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს პირველი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც შემორჩენილია საძირკველი და ბუხრის საკვამური.

არჩილის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შეინიშნება გალავნის ნაშთები.



სოფ. სიონთგორი. მარნის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ჩანს ხარისხის ნაწილი და ღვინის სადინარი ქვევრის თავზე.

Сел. Сионт-гори. Северо-восточный угол марани. Видна часть ступени и труба для стока вина в «квеври».

სოფელ სიონთგორის დარბაზული ეკლესია აგებული იყო VIII საუკუნის პირველ ნახევარში, მაშინ, როცა საქართველოს ამ რეგიონში, კახეთში, მიმდინარეობდა საკმაოდ დიდი სამშენებლო საქმიანობა.

ეს ეკლესია აღმოცენებულია იმ ძველი გზის განშტოებაზე, რომელიც აერთებდა არაგვის ხეობას ივრის ხეობასთან და ალაზნის ველთან. შემდგომში აქ გაჩნდა მეორე ეკლესია. არაგვის ხეობის ვენახებთან სიახლოვემ გამოიწვია სამარნო კომპლექსის გაჩენა, ხოლო თავდაცვითი მიზნით აიგო საცხოვრებელი კოშკი და გალავანი.

არჩილის სამონასტრო კომპლექსი მოითხოვს მეტ ყურადღებას და პატრონობას. შეძლებისდაგვარად გასამაგრებელია მისი ნაშთები.

1 ამ ხუროთმოძღვრული კომპლექსის გააზრებაში კონსულტაცია გაგიწვია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა თ. სანიკიძემ.

2 ნ. ჩუბინაშვილი. დაწყობილი ერწოს ძეგლების შესწავლა. — ახალი თიანეთი, 1960, 9 ივნისი, № 47; მისივე. მომავალ წელს ექსპედიცია მუშაობას გააგრძელებს. — ახალი თიანეთი, 1960, 30 ივნისი, № 53, რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე. ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერეო მუშაობის შედეგები. — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ., 1978, № 1, გვ. 149-150.

3 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1. თბ., 1955, გვ. 248, Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959, с. 66-67.

4 გ. აბრამიშვილი. სტეფანოს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 35.

5 დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა. თბ., 1966, გვ. 94-96.

6 ქართლის ცხოვრება..., ტ. 1, გვ. 248; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 534;

7 ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურა იხ. დ. მუსხელიშვილი..., გვ. 85-100; გ. აბრამიშვილი... გვ. 16-17; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 100-102.

8 ქართლის ცხოვრება..., ტ. 1, გვ. 243; გ. აბრამიშვილი..., გვ. 38.



კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზო.

Двор киностудии «Грузия-фильм».

ბი ა ჭანიშვილი

ქველთა ღაცვის ზოგირთი საკითხის შესახებ

საქართველოს ისტორიას ხანგრძლივ პერიოდებად თან ახლდა ძნე-
ლბედობათა ყამი. მტერი თუ სტიქიური უბედურებანი იაყარყოფდა ქარ-
თული მატერიალური კულტურის ძეგლებს. ამიტომაც უძველესი დროიდან
შემორჩენილ ნაგებობათა უმეტეს ნაწილს მხოლოდ ნანგრევების, ან მიმო-
ჯანტული, საგნების სახით მოუღწევია დღემდე და მათზე წარმოდგენას
ცალკეული ფრაგმენტებილა თუ იძლევა.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ძეგლთა ღაცვას ესოდენ დიდი მნიშვნე-
ლობა მიენიჭა ამ ბოლო წლებში. ამ საშვილიშვილო საქმეს განსაკუთრე-
ბული ყურადღება დაეთმო მას შემდეგ, რაც გამოვიდა კანონი „ისტორიისა
და კულტურის ძეგლთა ღაცვისა და გამოყენების შესახებ“, ხოლო საქარ-
თველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დად-
გენილება „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების
დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონის-
ძიებათა შესახებ“.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძეგლებზე ზრუნვა და მათი მოვ-
ლა-პატრონობა მარტო სათანადო ორგანოების მოვალეობა როდია, არამედ
— ყველა საბჭოთა მოქალაქისა. სამწუხაროდ, ამ საპატიო მოვალეობის შე-
სრულებას ზოგ შემთხვევაში პირადული მოსაზრებებით უდგებიან, რასაც
სიკეთის ნაცვლად გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს.



ვერძი.

Телец.

ქვა — ჭვარის გამოსახულებით.

Камень с изображением креста.





ხელოვნების მუზეუმში მოთავსებული აწყურის საკათედრო ტაძრის დეკორის ფრაგმენტები.

Фрагменты декора Ацкурского кафедрального храма, находящиеся в Музее искусства Грузии.

ახლა, როცა ძეგლთა დაცვა, აღდგენა და მოვლა-პატრონობა საერთო სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ საქმედ იქცა, ამ მხრივ ყველაფერი უნდა კეთდებოდეს სათანადო საისტორიო, სამეცნიერო და არა ვინრო უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

1980 წლის გაზაფხულზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთმა გადაღებმა ჯგუფმა (რა თქმა უნდა, თავისებურად კეთილშობილური განზრახვით) სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან (აქაოდა უპატრონოდ არის მიტოვებული) თბილისში ჩამოიტანა მატერიალური კულტურის ნიმუშები — ხუთი ჩუქურთმიანი ფრაგმენტი, ოთხი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგანი, ვერძის ქანდაკება და ბუნში ჩადგმული ჯვრის გამოსახულებიანი ქვა. ამჟამად ყველა ეს ნივთი სტუდიის ეზოშია გამოფენილი.

შევეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში მოწყობილი „მუზეუმის“ ექსპოზიცია.

ქვები განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ხასიათით და გამოყენების მნიშვნელობით. ამასთან თითოეული მათგანი საინტერესო და დიდად საგულისხმოა, როგორც მატერიალური კულტურის ისტორიის, ასევე ხელოვნების თვალსაზრისითაც.

ფრაგმენტების თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ ცნობები კინოსტუდიაში მოგვანოდა.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნები ბაზალტიდანაა გამოთლილი. ყველაზე დიდი ზომისაა ქვის სანური (სიგრძე 150 სმ, სიგანე 80 სმ, სიმაღლე 60 სმ) იგი ე.წ. „საქაჯავის ძირია“, რომელიც თუთის ნაყოფის დასანურად გამოიყენებოდა. მას ერთგვარი ვარცლის ფორმა აქვს. ზედაპირზე, შუაში, მთელ სიგრძეზე და ქვის გარე კონტურის გასწვრივ ლარებია ამოჭრილი. მასში გროვდებოდა თუთის ნაჭური და შემდეგ ერთ მხარეს ამოკვეთილი სადინარი ღარით სათანადო ჭურჭელში ჩაედინებოდა.



ჩუქურთმისანი ქვები აწუურის კათედრალთან.

Орнаментированные камни из Ад-курского кафедрального храма.

თუთის სანურად გამოიყენებოდა აგრეთვე მეორე ქვაც, პირველზე უფრო მომცრო ზომის (85×35×30 სმ) და ხუთნახნაგა მრავალკუთხედის ფორმისა. ლარები აქ წრიულად არის ამოჭრილი, გარეთა სადინარი კი ორ მხარეს აქვს დატანებული.

ამჟამად ორივე ქვა დაზიანებულია. ორივე სანური ნასოფლარ გელსუნდიდანაა (ასპინძის რ-ნი) ნამოღებული.

ქვის ოვალური ფორმის ჭურჭელი, სიგრძე-სიგანე დაახლოებით თანაბარია — 50-60 სმ. ერთი მხარე ჩამოტყრულია. ჩამოტანილია ნასოფლარ ქილდიდან (ახალქალაქის რაიონი);

ოვალური ფორმის ქვის სარქველი. (140×120×25 სმ). ნამოღებულია ნასოფლარ დანკალიდან (ახალქალაქის რაიონი). გამოიყენებოდა ქერის ორმოს სახურავად. ამგვარი ორმოები ახლაც გვხვდება ნასოფლარში. ქვის ცენტრში 45 სმ დიამეტრის ხერელია გაკეთებული ორმოში ჩასასვლელად.

ვერძი (სიმაღლე 100, სიგრძე 155 სმ). ჩამოტანილია ნასოფლარ ქილდიდან. იდგა ქილდის ეკლესიის მახლობლად. გამოთლილია მუქი, ფოროვანი ბაზალტისაგან. ვერძს თავზე აქვს მცირე ზომის, რქების მანიშნებელი სტილიზებული, რელიეფური გამოსახულება, ზურგის ბოლოს კი — მართკუთხა ჩარჩოში (18-15 სმ) ევარია ამოჭრილი. გვერდებზე, ორივე მხარეს, ოდნავ ატყვია უნაგირის კვალი. შესაძლოა ეს წარმოადგენდეს ვერძისა და ცხენის აზრობრივი გაერთიანების ერთგვარ ცდას. მთლიანი მონოლითიდან გამოთლილი ვერძი აგებულების პროპორციულობით გამოირჩევა. ზეანუელი თავი, კისრისა და ზურგის რბილი, დენადი ხაზი მას პლასტიკურობას ანიჭებს. ჩანს, ნიჭიერი ოსტატის დახელოვნებული ხელი.

ნასოფლარ დანკალიდან ჩამოტანილია დიდი ზომის (100×90×50 სმ) ფოროვანი ქვისაგან უხეშად გათლილი ორსაფეხურიანი ბუნი. ბუნის ზედა დაბალი საფეხურის ცენტრში ამოკვეთილი ბუდე მართკუთხა ფორმისაა (55×60 სმ). ბუნში ჩადგმულია ასევე უხეშად გათლილი ქვა—ან, ჯვრის გამო-



სახულებით წინა პირზე. ქვის უკანა კედელი უზეშადაა გათლილი და მასზე შემორჩენილია დულაბის კვალი. ეს ფრაგმენტი კედლის მოპირკეთების ქვედა და არა ქვა-ჯვარა. იგი ბუნში შემთხვევითაა მოხვედრილი. ჯვრის ქვედა მკლავი ძალიან დაზიანებულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი სხვებზე უფრო გრძელია. ჯვრის ბოლო მარჯვნივ არის გადახრილი, რითაც სხვა, მის ვერძზე მყოფ გამოსახულებას უკავშირდებოდა.

ამათ გარდა, საინტერესოა ახალციხის რ-ნის სოფ. აწყურისა და წამო-
ლებული ჩუქურთმიანი ქვები. ეს ქვები აწყურის კათედრალის მორთულო-
ბის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. აწყურის კათედრალი, რომლის
ფართობი სვეტიცხოვლისასაც კი ჭარბობს, ძალიან დიდი მნიშვნელობის
ძეგლია. ამჟამად ტაძარი დანგრეულია. წამოქცეულია გუმბათი და კამა-
რები. შემოძარცვულია კედლების გარე პერანგი. ადგილობრივი მოსახლე-
ობა ქვებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის იყენებდა. სოფე-
ლში ახლაც შეიძლება ნახოთ ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც სახლების
კედლებშია ჩატანებული. რამდენიმე ასეთი ქვა ამ ოციოდე წლის წინათ ჩა-
მოტანილი იქნა თბილისში და საიმედოდ არის დაცული საქართველოს ხე-
ლოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში მოთავსებული მოჩუქურთმე-
ბული ფრაგმენტები აწყურის ძეგლის დეკორის სხვადასხვა ნაწილებია და
XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

მართკუთხა ფორმის ქვა (90×52×60 სმ) სარკმლის საპირე უნდა იყოს,
მას წინა მხარეს, ნიბოებზე, მასიური გრეხილი ლილვები მიჰყვება. მარ-
ცხნივ შეწყვილებული ლილვებია, რომლის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემო-
რჩენილი. ლილვებს შორის მოქცეული არე დაფარულია ფოთლოვანი ორ-
ნამენტით. ფოთლები მსხვილია, ხაზების დინება მკვეთრი, ხოლო მოდელი-
რება რბილია. ქვის მარცხენა კედელი ირიბია და კარგად არის გათლილი.
ქვედა კუთხეში ბუდეა ამოჭრილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ოსტა-
ტურად შესრულებული ფრაგმენტი სარკმლის მორთულობის ნაწილია.

მეორე ფრაგმენტი (65×78×19 სმ) აგრეთვე ლიბობს, ამ შემთხვევაში
აღბათ კარის მოჩარჩოების ნაწილს წარმოადგენს. ქვის მარცხენა ნაწილი
ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ მორთულობის საერთო სახის გამოც-
ნობა მაინც შეიძლება. აქ საქმე გვაქვს კვადრატის თავზე ამართული ორი
ლილვის ქვედა მორთულობის ფართოდ გავრცელებულ მოტივთან. იგი შე-
დგება ბურთულების, მოჩუქურთმებული სარტყელებისა და კოვზისებუ-
რი მოტივის კომბინაციისაგან. მარჯვნივ მდებარე ვერტიკალურ არეზე გა-
მოსახულია დიდრონი ფოთლებისა და ლენტოვანი წნულისაგან შემდგარი
ჩუქურთმა. პირველი ფრაგმენტის შემსრულებელთან შედარებით ამ რელი-
ეფის ავტორი ნაკლებად დახელოვნებულია — ჩუქურთმა ოდნავ მშრალია
და ნახატს სიმკვეთრე აკლია. სავარაუდოა, რომ ამ ორ ფრაგმენტს შორის
ქრონოლოგიური ზღვარი დევს.

მეორე ფრაგმენტის წინა პირზე შეიმჩნევა დულაბის კვალი. უკანა პი-
რი დღეისათვის სუფთად არის გათლილი. როგორც ჩანს, მომდევნო ხანა-
ში იგი კედლის მოსაპირკეთებლად გამოიყენეს და წინა პირით ჩადგეს წყო-
ბაში. საგულისხმოა, რომ დულაბის კვალი შემორჩენილია უკანა პირზეც.

მესამე ფრაგმენტი (96×94 სმ) შეიცავს შეისრული ფორმის თაღისებულ მელიც მოჩუქურთმებულ არეში იჭრება და ჰკვეთს მას. თალი მომდევნო ხანაშია ამოჭრილი, როგორც ჩანს, ბუხრის თავად გამოყენების დროს. ჩუქურთმა 25 სმ სისქის ზოლად მიჰყვება ქვას და კუთხეს ქმნის. იგი შემოსაზღვრულია ასევე კუთხით მიმართული, 7 სმ სისქის, ლილვებით. ორნამენტის დაწვრილებული ნახატი აქ უპირისპირდება მასიურ გლუვ ლილვებს და მათი გამოსახულება კედლის სიბრტყეშია ჩაძირული. ასეთივე წნულია და შეწყვილებული ლილვების მოტივითაა მოჩარჩოებული XIII საუკუნის ბოლოთი დათარიღებული საფარის წმ. საბას ტაძრის დასავლეთის პორტალი. სავარაუდოა, რომ აწყურის ფრაგმენტიც პორტალის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო შესრულების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ იგი საფარის აშენების პერიოდს ეკუთვნის.

თაღედის ნაწილს წარმოადგენს შეწყვილებულ-ლილვებიანი, რუხი-მოთეთრო ქვაც. მისი საერთო მოხაზულობა ტრაპეციის ფორმისაა (47×120×47 სმ), ლილვები გლუვია და ფართო (12 სმ).

მეხუთე ქვას წინა პირი კვადრატული ფორმისა აქვს (40×40 სმ). მასზე გამოსახულია ფართო ლენტებით შექმნილი გეომეტრიული ორნამენტი. ეს ფრაგმენტი, ძეგლის დეკორის საერთო აგებულებაში, ალბათ იმავე ადგილს იკავებდა, რასაც მეორე ფრაგმენტზე გამოსახული კვადრატი, ესე იგი მას ლილვები ეყრდნობოდა.

ამჟამად აწყურის კათედრალის მეცნიერულ-დაცვითი სამუშაოს ჩატარება ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს 1981 წლის გეგმითაა გათვალისწინებული და ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, თითოეული ქვის ბედი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რესტავრაციის დროს საჭირო იქნება მიმოფანტული ქვების ადგილზე დაბრუნება, რათა ქართული არქიტექტურის ამ ბრწყინვალე ძეგლს, შეძლებისამებრ, თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნდეს.

ყველასათვის გასაგებია ის თავისებურად კეთილშობილური განზრახვა, რომელიც გამოიჩინა კინოსტუდიამ დასახელებული ძეგლების გადმოტანის დროს. მაგრამ ერთი ნამით დაფიქრდეთ რა მოჰყვებოდა ასეთ „ზრუნვას“ სხვებსაც რომ თავის ეზოში გადმოეზიდათ ყველაფერი, რასაც უპატრონოდ მიტოვებულად მიიჩნევდა.

რესპუბლიკაში ბოლო წლებში ფართოდ გაიშალა საშეფო მუშაობა. ბევრმა სანარმომ, უწყებამ თუ დაწესებულებამ პატრიოტული სულისკვეთება გამოიჩინა და კულტურის ძეგლებზე შეფობა, მათი მოვლა-პატრონობა იკისრა. ჩვენ გვინდა შევთავაზოთ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ რომელსაც ძალუძს სარგებლობა მოუტანოს ძეგლთა დაცვის საქმეს, მონაწილე გახდეს ამ დიადი მოძრაობისა.

**შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის
ძეგლები კრასნოდარის მხარეში**

ადრეშუასაუკუნეების ილიჩევსკის ნაქალაქარის (XI-XIII სს.), არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც ჩატარდა 60-იან წლებში კრასნოდარის პედაგოგიური ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ნ. ვ. ანფიმოვი), აღმოჩენილ იქნა ქართულ სტილში შესრულებული ქრისტიანული ეკლესიის ფუნდამენტისა და კედლების ნანგრევები.

ნაქალაქარი მდებარეობს კრასნოდარის მხარის ოტრადნენსკის რაიონში, ზეგანზე, მდინარე ურუპის, მთის მდინარეების კუვისა და გამოვსკის ტყით დაფარულ ხეობებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ნაქალაქარს ხელსაყრელი ბუნებრივი მდებარეობა ჰქონდა, მოსახლეობამ იგი დამატებითი თავდაცვითი ნაგებობების სისტემით გაამაგრა — მიწაყრილით, თხრილით და ოთხი ქვის გალავნით. ყოველივე ეს გზას უღობავდა მტერს და მომიჯნავე სოფლების მოსახლეობისათვის სანდო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ამ თავისებური სიმაგრის ცენტრი ახლანდელი საზაფხულო მერძეეობამესაქონლეობის ფერმის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მიმდინარე გათხრების დროს ამ მდელიოზე აღმოჩნდა XI-XIII საუკუნეების ხუთი ქრისტიანული ეკლესია. ამ ძეგლების ფუნდამენტები და კედელწყობის პირველი რიგები დაფარული იყო ყორღანის მსგავს ალმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ შემალეებაში და შედგებოდა ნეშომპალასა და სამშენებლო ნარჩენებისაგან.

სამი ძეგლი უდაოდ ქართული სტილისაა. ძეგლი № 1, რომელიც მდელის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში მდებარეობს, აღმოჩენილია და გამოკვლეულია 1965-66 წლებში. გეგმაში ოთხკუთხა, (11,24×5,05 მ) დარბაზული ტიპის ეკლესია შედგებოდა სამი სათავისაგან: ნახევრადწრიული აფსიდის, (ჩართული ალმოსავლეთ კედელში) დარბაზისა და დასავლეთის მინაშენიდან (5,15×3,0 მ). მთლიანი ნაგებობის სიგრძეა 15,15 მეტრი. ფუნდამენტი არცთუ ისე ღრმად ჩამალული იყო ხრეშიან ყორეში. როგორც ფუნდამენტის, ისე კედლების (სიგანე 0,8-დან 0,9-მდე, სიმაღლე 1 მ-დე) საშენ მასალად გამოყენებულია მტკიცე კირქვის ბლოკები და დამუშავებული ფოროვანი კირქვის კვადრები, რომლებიც კირხსნარის დულაბით არის შეერთებული. შიდა და გარე კედლების წყობას შორის ადგილი შეესებულება ჭყორდულაბით; შენობის შიდა კედლები მობათქაშებულია, აქა-იქ შემჩნევა შელესვის კვალი; შემორჩენილია საკარე ლიობები სამხრეთ და დასავლეთ ფასადზე.

გამოვლენილია ფოროვანი კირქვისაგან დამზადებული და საგანგებოდ დამუშავებული საკურთხევის შემალეების ხუთი ფილა. აფსიდის იატაკი შედგება მტკიცე კირხსნარის ფენისაგან (0,3 მ), ხოლო დარბაზის იატაკი მოპირკეთებული იყო კირქვის ბრტყელი ფილებისაგან; ზოგიერთი მათგანი



შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლი კრასნოდარის მხარეში (საერთო ხედი ძეგლი № 1-3).

Средневековый памятник грузинской архитектуры в Краснодарском крае. (Общий вид храма № 1—№ 3).




ძეგლი № 2 (რესტავრაციის შემდეგ).

Храм № 2 (после реставрации).

შემორჩენილია სამხრეთი კედლის ახლოს. იატაკის მთელი დანარჩენი ფართობი გადათხრილია.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების გასწვრივ შეიმჩნევა ერთსაფეხურიანი გამონაშეერი (სიგანე 0,3 მ. სიმაღლე 0,35 მ) მლოცველთათვის ჩამოსაჯდომად. შემკლავებიდან 3,15 მეტრის დაშორებით შემორჩენილია პილასტრის ძირი, რომელიც მზიდი თალის საყრდენი უნდა ყოფილიყო. თალი



ძეგლი № 4 რესტავრაციის შედეგად
 № 1 ძეგლის ორნამენტირებული ქვის
 ფრაგმენტები.

Храм № 4 (после реставрации стен
 в 1978 г.).
 Фрагменты каменной орнаменти-
 рованной алтарной преграды церк-
 ви № 1.





გადავლებული იყო ადვილად დასამუშავებელი ფოროვანი კირქვის ბლანკებისაგან.

სათავისის განმენდის დროს აღმოჩენილია დამუშავებული ფოროვანი კირქვის ფილები (0,88×0,7×0,25; 0,5×0,6×0,26 მ). ზოგიერთ მათგანს შეზენეილი პირიმზარე აქეს და დაფარულია კირხსნარის თხელი ფენით. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ფილებისაგან შედგებოდა თალებისა და გადახურვის კონსტრუქციები. ეკლესიის ფერწერა არ არის აღმოჩენილი, სახურავი მასალაც არ არის ნაპოვნი.

მინაშენი დასავლეთიდან, ძირითადი შენობის აშენების შემდეგაა აგებული. სათავისის განმენდის შემდეგ აღმოჩნდა ოცი სამარხი, რომლიდანაც მხოლოდ ერთია შესრულებული არაქრისტიანული წესით. სამხრეთ კედელთან, გარეთა მხრიდან გათხრილია სამი საფლავი; ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა ხუთი ჩონჩხი უნესრიგო მდგომარეობაში; სავარაუდოა, რომ რიტუალი შესრულდა არამშვიდობიან დროს. (ომი, ეპიდემია).

ცენტრალური დარბაზის განმენდის შემდეგ აფსიდის ძირში ნაპოვნია დაახლოებით სამასამდე ორნამენტირებული კანკელის ფრაგმენტი, რომელიც შესრულებულია გამოცდილი ქვისმჭრელის მიერ. დასაბანია, რომ კანკელის აღდგენა არ მოხერხდა, იმის გამო, რომ ფრაგმენტების დიდი ნაწილი დაკარგულია, განადგურებულია მონღოლი დამპყრობლების მიერ XIII საუკუნეში; ეს იყო პერიოდი, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრება ამ ქალაქში ჩაკცდა.

საქართველოში აქ განხილული კანკელის სრულ ანალოგიებს ვხვდებით (სოფ. პოკროვსკოე, აფხაზეთის ასსრ; სათხე, მერია). ისინი თარიღდებიან XII-XIII საუკუნეებით. კანკელის შექმნის ადგილი გამოურკვეველია. ჯერჯერობით ჩრდილო კავკასიაში ეს ერთადერთი აღმოჩენაა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება.

ტაძრის არქიტექტურული მხარე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ააგო ქართველმა ოსტატმა, უფრო ზუსტად ძეგლის მშენებელი დასავლეთ საქართველოდან ან აფხაზეთიდან უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ტერიტორიები უფრო ახლოა ყუბანის აუზთან, საითკენაც ძველთაგანვე მიემართებოდა ბილიკები (ქლუხორის, სანჩარის).

ოთხკუთხოვანი გეგმა ნახევრადწრიული მინაშენის გარეშე, შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან, მლოცველთა დასაჯდომი, ორნამენტირებული ქვის კანკელი — მეტყველებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს შუასაუკუნეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელ არქიტექტურულ ნაგებობასთან.

ძეგლი № 1-ის ჩრდილოეთით, 10 მეტრის დაშორებით გათხრებმა აღმოაჩინეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლი, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია მთელს ჩრდილო კავკასიაში.

არქეოლოგებმა გათხარეს სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები, (ძეგლი № 3) რომელიც თარიღდება XIII საუკუნის დასასრულითა და XIII საუკუნის დასაწყისით. შენობის დაგეგმვა ოთხკუთხოვანია (14,4×15,6 მ). აღმოსავლეთიდან ეკლესიას აქვს გამოწეული აფსიდი, ცენტრალურ დარბაზს სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს სათავსები. ჩრდილო სათავსი



გაყოფილია ორად; სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩენილია მთელიადაც გაძარცვული სამარხი.

გახსნილია დასავლეთის საკარე-სამხრეთ შემოსასვლელი მინაშენით უერთდება დარბაზს. შენობა გადაკეთებულია რაღაც მიზეზის გამო. ფუნდამენტისა და კედლების წყობა სისტემურია და კირქვის გამძლე ხსნარით არის შედგენილი. შენობის შიდა კედლები მოხატულია. მშენებლობისათვის გამოყენებულია გამძლე ფოროვანი კირქვა. დარბაზი იყოფა მზიდი თალით, შემორჩენილია პილასტრის ძირი.

სამეკლესიანი ბაზილიკის ნიმუშები საქართველოში აღწერილია აკადემიკოს გ. ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომებში.

განვიხილოთ კიდევ ერთი საკულტო არქიტექტურის ნიმუში, (ძეგლი № 4), რომელიც აღმოჩენილია აღმოსავლეთით, 360 მეტრის დაშორებით: პირველი ძეგლიდან. ეს არც თუ ისე დიდი ეკლესია ტიპური იყო შუასაუკუნეების საქართველოსათვის.

შენობა ოთხკუთხოვანია, ნაკლებად გამოკვეთილი აფსიდით და დასავლეთისაკენ გაჭრილი კარით. შეიმჩნევა რეკონსტრუქციის ნიშნები. სამხრეთ კედელი გრძელდებოდა აღმოსავლეთით არსებული აღმოსავლეთის კედლის იქით. შესაძლოა თავდაპირველად აფსიდა გარეთ იყო გატანილი. ეკლესიას დასავლეთიდან აქვს საყრდენი კედელი, გაჭრილი საკარით. (სიგანე 4 მ).

სამხრეთ კედელთან სახურავის ქვის ფილების ქვეშ აღწეულია დანგრეული სამარხები, ხოლო აღმოსავლეთ კედელთან ნაპოვნია და გამოკვეთულია 18 ქრისტიანული სამარხი.

როგორც ძეგლი № 1-ის, ისე ამ სამარხების გათხრების დროს აღმოჩენილი სამარხი ინვენტარი საკმაოდ მცირეა და ნაკლებად მნიშვნელოვანია (მეტალის ლილები, მძივები, რკინის სამშენებლო სამაგრები და სხვ.) განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ზომის ქარვის ჯვარი. სამწირველო თარიღდება დაახლოებით XII საუკუნით.

სამი არქიტექტურული ძეგლის აღმოჩენა და გამოკვლევა ილიჩევსკის ნაქალაქარში გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ საქართველოს დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთ ალანიაზე, ოსების ალანელი წინაპრების ადრეფეოდალურ სახელმწიფოზე, რომელიც ყუბანის ბასეინის ზედა ნაწილში მდებარეობდა.

ალანების ტერიტორიას დასავლეთიდან ემიჯნებოდა დღევანდელი ადიგეელების, ყაბარდოელებისა და ჩერქეზების წინაპრების მიწები, ხოლო მდინარეების ყუბანის, ურუპისა და დიდი ლაბის შუამდინარეთში ხდებოდა ორი ეთნიკური მასის შერწყმა.

ილიჩევსკის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაპოვრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი წარმოიშვნენ და განვითარდნენ ადგილობრივად არსებულ ფეოდალურ სახელმწიფოში, რომელიც ძირითადად ალანებით იყო დასახლებული, ხოლო მათ მმართველებს მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აღმავლობის პერიოდში მყოფ ფეოდალურ საქართველოსთან. რა კონკრეტულმა ვითარებამ განაპირობა ეს ურთიერთობა ურუპზე მდებარე ქალაქებს შორის (პოლიტიკური, დინასტიური) ჯერჯერობით თქმა არ შეგვი-



ძლია, მაგრამ ვიმედოვნებთ შემდგომ გათხრებზე, რომელმაც უნდა გამოვლინოს სულ ცოტა ათი ძეგლი ნაქალაქევსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საკულტო არქიტექტურის ასეთი დაგროვება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში უნებლიეთ სამონასტრო კომპლექსის არსებობის აზრსაც იწვევს, მაგრამ ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა მხოლოდ მოსაზრებაა.

ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლების აღმოჩენა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ურუპზე ენინალმდეგება ისტორიულ ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, რომ დასავლეთ ალანებში ქრისტიანობა ბიზანტიიდან გავრცელდა.

ცნობილია, რომ ალანებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა X საუკუნის I ნახევარში (913-925 წწ.), რაც ბიზანტიელი მისიონერების, ფეოდალური აფხაზეთის მმართველების აქტიური მონაწილეობით მოხდა, მაგრამ ქრისტიანობის შეტანისა და განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სოციალურ-ეკონომიური აღმავლობის პერიოდში მყოფმა საქართველომ XI-XII საუკუნეებში.

ჩვენი აზრით არქიტექტურული ძეგლების მკვლევართა ამოცანაა არა მხოლოდ ამ მონაპოვართა აღმოჩენა, ფიქსაცია და გამოცემა, არამედ მათ მომავალზე ზრუნვაც; სწორედ ამ მიზნით ილიჩევსკის ნაქალაქარის გათხრების შემდეგ ჩატარდა შემდგომი სამუშაოები 1974-1978 წლებში. აღმოჩენილი ძეგლების კედლის ზედა ფენები გაამაგრეს ცემენტის ხსნარით და დაფარეს კირხსნარის ფენით. ასე რომ ტაძრის ყველა ნანგრევი დაკონსერვებულია, მათი ნგრევა შეჩერებულია.

სამუშაოები შესრულებულია თანხებით, რომელიც გამოყო სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის კრასნოდარის სამხარეო განყოფილებამ.

ფაქტიურად ილიჩევსკის XI-XIII ს-ის ნაქალაქარზე ჩაეყარა საფუძველი ღია ცის ქვეშ მუზეუმს. რსფსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ნაქალაქარი შეტანილია რესპუბლიკური მნიშვნელობის ძეგლების სიაში.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ავტორმა ვააკეთა მოხსენება: „კრასნოდარის მხარეში, ოტრადნენსკის რაიონში, ილიჩევსკის ნაქალაქარის ძეგლი № 1-ის ქვის კანკელი“.

ათონის წლის ქართული სავანე

1980 წელს სრულდება საბერძნეთში ათონის ივერთა მონასტრის დაარსების 1000 წელი (980-983). პირველად იგი რელიგიურ ცენტრად იყო ჩაფიქრებული. მაგრამ მალე ათონის ივერთა მონასტერი თავისი დროის უდიდეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. ქართველთა სულიერი კულტურის ამ მძლავრ კერას სათავეში ედგნენ: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. აქ იქმნებოდა ორიგინალური ლიტერატურა, ითარგმნებოდა ქართულ ენაზე ბიზანტიური ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები. მრავალდებოდა ხელნაწერები. ქართველი მეცნიერები, პოეტები, მთარგმნელები თავიანთი თავდადებული შრომით ქართული კულტურის ნიმუშებს მსოფლიო ხალხებს აცნობდნენ. ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ აკად. ი. ჯავახიშვილი წერდა:

„უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა, ყველაფერი, რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა. საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“.

დიდი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, თუ რა თავგამომეტებით და მხნეობით უმუშავიათ ქართველ მოღვაწეებს თავიანთი ქვეყნის გარეთ ათონის მთაზე და სხვაგან თავიანთი ხარჯითა და ფულით აშენებულ სავანეებში. ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ათონის ივერთა მონასტერს ენიჭება.

ათონი მთის მასივია სიგრძით 50 და სიგანით 5-10 კილომეტრი. იგი მდებარეობს მაკედონიაში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, რომელიც ვინრო კონცხით ზღვას უერთდება. ათონის მთაზე მონასტრები აქვთ: ბერძნებს, ქართველებს, რუსებს, სერბებს, ბულგარელებს და სხვ. ათონი ეს ბერთა რესპუბლიკა, 900 წლებში 8000-ზე მეტ ბერს ითვლიდა. ათონის ივერთა მონასტერში ბერებად მიდიოდნენ განათლებული და წარჩინებული ქართველები. სიჭაბუკეში ისინი თავიანთი ძლიერი მარჯვენით სამშობლოს ემსახურებოდნენ, ხოლო სიბერეში მონასტრის სიმყუდროვეს მიმართავდნენ, რათა თავიანთი ცოდნა და უნარი სამშობლოსათვის სხვა უბანზე წარმოეჩინათ. ასეთი ქართველთაგანი იყო ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი და ორგანიზატორი ტაო-კლარჯეთის მკვიდრი, დიდებულთა ოჯახის წარმომადგენელი იოანე (ერისკაცობაში ვარაზფაჩე), მეფე დავით კურაპალატის მხედართმთავარი, რომელიც ბერად აღიკვეცა ულუმბოს მთაზედ, 965 წელს კი ათონის მთაზედ ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდა. ცოტა-



ღირსნი მამანი დამფუძნებელი ივერთის მონასტრისა.

Почтенные отцы — основатели Иверского монастыря.

ათონის ივერთა მონასტერი.

Иверский монастырь на Афоне.



ხნის შემდეგ მასთან მივიდა ბერად აღკვეცილი ცნობილი თორნიკე ერისთავი, შემდეგ სხვები და ასე გაიზარდა ქართველთა რიცხვი ათონზე. მალე ბერძნებმა თორნიკე ერისთავს მეფე დავით კურაპალატთან შუაგაცოცხა დააკისრეს. საბერძნეთის იმპერატორები — ბასილი და კონსტანტინე თხოვდ-



ნენ ქართველთა მეფეს დახმარებოდა ჯარით აღმოსავლელ საქართველოსა და მცირე აზიის მმართველის, აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. დავით კურაპალატმა 12.000 მეომარი გაუგზავნა თორნიკე ერისთავის სარდლობით. ქართველთა ჯარმა ბერძენთა ჯარის მხარდაჭერით სასტიკად დაამარცხა მასზე ბევრად მრავალრიცხოვანი სკლიაროსის ჯარი. ბერძნებმა თორნიკეს დიდძალი ქონება მისცეს, აუარებელი დავლა, საჩუქრები. ყველა ეს სიმდიდრე თორნიკემ მოახმარა ათონში ივერთა მონასტრის მშენებლობას, ააშენა დიდებული ტაძარი, შეიძინა ძვირფასი ხელნაწერები და ნაწილი ქონებისა ათონზე მყოფ ბერძნების ტაძრებსაც უწილადა.

ათონის ივერთა მონასტრის პირველი მოძღვარი იყო იოანე, შემდეგ მისი შვილი ექვთიმე, შემდეგ გიორგი მთაწმინდელი და ა. შ.

ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლებმა თუმცა განიზრახეს, რომ ამ მონასტერში მხოლოდ ქართველი ბერები ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულეს. წლების მანძილზე საქართველოდან ქართველი ბერები ათონზე ვერ მიდიოდნენ და ამის გამო ბერძენთა რიცხვმა თანდათან იმატა.

ათონის მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი მეფეები. ისინი სწირავდნენ ყოველგვარ შესაწირს. ასე მაგალითად, ათონის ივერთა მონასტერს ეკუთვნოდა მამულები საქართველოში (200-ზე მეტი კომლი გლეხი თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონებით — ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, გორიდან, თელავიდან, თბილისიდან, ცხინვალიდან, ნუკრიანიდან, საქობოდან და ა. შ. მარტო სიღნაღში 246 ბალი ჰქონდა). ბესარაბიაში 147 სოფელი და 264.320 დღიური მიწა, ტყე, ვენახი და ბალი. ამათ ემატებოდა ტაძარში უამრავი შემონირულებანი (შემწირველთა სახელები ტაძრის კედლებზე იწერებოდა). როგორც მეფეებისა და თავადების, ისე რიგითი შემწირველების, რომლებიც დადასტურებული იყო სიგელ-გუჯრებით და ხელმოწერებით. ივერთა მონასტრის წინამძღვარს იოანე მთაწმინდელს და მის შვილს ექვთიმეს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული მწერლობის წინაშე. ის დიდი ლიტერატურული მუშაობა მათ მიერ დაარსებულ მონასტერში არ შეწყვეტილა მათი სიკვდილის შემდეგაც. ექვთიმეს დროს ათონის მონასტერში წიგნების თარგმნაზე სამასამდე ბერი მოღვაწეობდა. ისინი უმეტესად ღამით, სანთლის შუქზე მუშაობდნენ. ექვთიმე ამბობდა კიდევ: „დავამთავრე ეს ნუსხა და ვინც ნაიკითხოთ, შემინდეთ უცალო ვიყავ და უფროსი ღამით მიწერიაო“.

ექვთიმეს ნათარგმნი აქვს წიგნები სასულიერო მწერლობის ყველა დარგიდან აპოკრიფები, ეგზეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ასკეტიკა და მისტიკა, პომილეტიკა, აგიოგრაფია, ლიტურგიკა, სასულიერო სამართალი და პიმნოგრაფია. მისი თარგმანების საერთო რიცხვი 130-მდე აღწევს. ექვთიმე ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვით არ თარგმნიდა. იგი ტექსტს ამოკლებდა ან ავრცობდა, შეჰქონდა შიგ ხხვადასხვა წყაროდან დამატებითი ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ქართველებს ეხებოდა. „ექვთიმეს — ამბობდა ეფრემ მცირე—მალღისა სულღისა წმინდისაითა ხელენიფებოდა შემატებაიცა და კლებაიცა“. ექვთიმეს უთარგმნია ქართულიდან ბერძნულად „რამოდენიმე წერილინი, მათ შორის „ბალავარი“ და „აბუკურაი“. ფრანგი



მეცნიერი ანრი გრეგუარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ათონის ივერთა მონასტერს მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოების „ბალაგანების“ ქართულიდან სხვა ენებზე, კერძოდ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე გადათარგმნის გამო. ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარმა ექვთიმე ათონელმა (955-1028) დიდი ამაგი დასდო ბერძნული ლიტერატურის ისტორიასაც. მისმა თარგმანებმა ბერძენ ხალხს შემოუწინა მრავალი უძველესი ეროვნული კულტურის ძეგლი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. მანვე გააცნო ბერძნებს ქართველების შემოქმედებითი უნარი, ქართული კულტურის, ქართველი ხალხის ცოდნის დონე და ის საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა ქრისტიან ხალხთა შორის.

ქართველ ათონელ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით ბრწყინავს გიორგი მთაწმინდელის სახელი (1009-1065). მან ივერთა მონასტერში არა მარტო გააგრძელა ექვთიმე ათონელის საქმიანობა, არამედ გააღრმავა და გააფართოვა იგი. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით გიორგი მთაწმინდელმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში. როგორც ცნობილია, ათონელი ბერძნები ცდილობდნენ ივერთა მონასტრიდან ქართველთა გამოძევებას, ლავრის ქონების წართმევას, მათი მიზანი იყო „სახელი მაშენებელთა ამოეხოცათ“. გიორგიმ და ათონელმა ქართველებმა თავიანთი სახელის უკვდავსაყოფად აღწერეს ტაძრის მაშენებელთა ცხოვრება, შთამომავლობას დაუტოვეს დიდებული წერილობითი საბუთი. ასეთ მეტყველ საბუთს წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩვენის იოანესი და ექვთიმესი“. ამ თხზულებაში ხაზგასმულია, რომ I. ქართველებს შეუძლიათ არა მარტო გადაარჩინონ კრიტიკულ მომენტში ბიზანტიის იმპერია ფიზიკურად (უზურპატორის ბარდა სკლიაროსის ეპიზოდში), არამედ ტახტიდანაც ჩამოაგდონ არასასურველი იმპერატორი, (მამასახლისი გიორგი მონაწილეობდა იმპერატორ რომანოზ არგირას ამბებში), II. მათ არა მარტო ააგეს ივერთა მონასტერი, რომლის ბადალი ათონის ბერძენთა მონასტრებს შორის არ მოიძებნება, არამედ უხვი შეწირულებებით გაამდიდრეს, ფეხზე დააყენეს იმ დროს შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფი ბერძნული მონასტრებიც. III. ექვთიმე ათონელი იმდენად პოპულარული პიროვნება იყო, რომ იგი თვით ბერძნებმა აირჩიეს ეპიტროპად, ათონის ბერძენთა მონასტრებისა და მისი მონაწილეობის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდებოდა. IV. ექვთიმემ გაამდიდრა ბერძნული ლიტერატურა ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი თხზულებებით.

გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის ბერძნულად დანერგილი ლექსი „რეკამნუხრისა ძელისა, მნუხრისა ძელისა“, რომელიც თომას მურის მიერ ინგლისურად იქნა გადაკეთებული და შემდეგ გადმოითარგმნა ყველა ევროპულ ენაზე (მათ შორის რუსულადაც „Вечерний звон“ დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1926, გვ. 45). გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება დაუწერია მის მოწაფეს გიორგი მცირეს (ხუცეს მონაზონს), რომელიც განუყრელად თან ახლდა მასწავლებელს.

როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს — ამ საგანში ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც ამჟამად ჩვენი მწერლობის ისტორია. აქ ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებით სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ერის ისტორიაში.

ბიჭვინთის ნაქალაქარის სიძველენი

მაღე აღინიშნება 20 წლისთავი ბიჭვინთის მუზეუმის დაარსებიდან. ბიჭვინთის კონცხზე მისი დაარსების ორგანიზატორები იყვნენ ძეგლთა დაცვის თანამშრომლები და საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები. თავდაპირველად მუზეუმი გაიხსნა ბიჭვინთის X ს-ის ტაძარში. ექსპონატების სიმცირის მიუხედავად, რომელიც ძირითადად არქეოლოგიური მონაპოვრებისაგან შედგებოდა, მუზეუმი თავიდანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა დამთვალიერებელთა შორის. გარდა აქ წარმოდგენილი არქეოლოგიური ნივთებისა დიდ ინტერესს იწვევს თვით ლეგენდებით მოსილი ბიჭვინთის უძველესი ტაძარი და ბიჭვინთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა არქიტექტურული ძეგლები. სხვადასხვა დროს მუზეუმის შენობაში გამოფენილ იქნა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, უძველესი არქიტექტურული ძეგლების ფოტოსურათები. ამ გამოფენის მეშვეობით, დამთვალიერებლები ეცნობოდნენ აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და ძმობის ამსახველ მდიდარ ისტორიულ წარსულს.

გათვალისწინებულ იქნა რა ბიჭვინთის ტაძრის აკუსტიკური თვისებები, გადაწყდა, რომ ტაძარში დაედგათ ორღანი და გადაექციათ იგი კამერული ორკესტრის საკონცერტო დარბაზად. ამასთან დაკავშირებით ტაძრის კომპლექსში ჩატარდა მთელი რიგი სარემონტო სარესტავრაციო სამუშაოები.

შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრა XIX ს. მე-2 ნახევარში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს დაშვებული ხარვეზები. დაიწყო სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები ბიჭვინთის ზღუდისა. იქ სადაც უნინ წყალსადენის სისტემა იყო მოწყობილი, რესტავრაციის შემდეგ გაიხსნა სუვენირების მაღაზია. ჩრდ. აღმ. კოშკში ამჟამად მოქმედებაშია ეგზოტიკური ბარი, ხოლო სამხ. დასავლეთით კი სამხატვრო სალონიც მოწყობილი. სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების პროექტის ავტორია სიძველეთა ძეგლების გამოცდილი რესტავრატორი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ცინცაძე. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა უზნის უფროსი — დ. ავიძბა, ხოლო ამ ექსპედიციების მუდმივი მონაწილე და ყველა რთული სამუშაოს შემსრულებელი იყო ან განსვენებული რიგითი მუშა ა. ციროპულო, რომელიც თავის ნიჭსა და ენერჯიას მთელი მონდომებით ახმარდა ამ კეთილშობილურ საქმეს. გადაწყდა ბერმონაზვნების ყოფილი სენაკის პირველ სართულზე მოეწყობათ საგამოფენო დარბაზი. არქეოლოგიური ნივთების უკეთ გამოფენის მიზნით შეკეთდა მისი ცალკეული ნაწილები. თავისი სპეციფიკური დანიშნულების გამო ამ შენობას ქონდა ვიწრო გასასვლელები. შეკეთების შემდეგ გაფართოვდა ეს გასასვლელები და სარკმლის ნიშები, ამის შედეგად ყოველგვარი შეფერხების გარეშე ხდება ტურისტული ჯგუფების გატარება. თითქმის ყველა ექსპონატი განლაგდა კედლის გასწვრივ. ამის გამო ვიტრინის მაგივრობას ეწევა სარკმლის ნიშები, სადაც

მოთავსდა არსებული ექსპონატები. ცვლილება განიცადა შენობის დაჭერა და ჭერმა. შენობის მთელი შიდა სივრცე შეიღება მუქ ცისფრად, რაც განსაზღვრულ ეფექტს აძლევს მთელ გამოფენას. ასევე ნიჭირადაა გადამწყვეტილი განათების საკითხიც; ყველაფერი ეს მთლიანობაში წარმოქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას, მეტყველებს ექსპოზიციის ორგანიზატორების დიდ ხელოვნებაზე და სამუზეუმო საქმის კარგ ცოდნაზე. (ავტორი თ. ი. თოდუა).

სამუშაოების დროს დაცული იქნა ქრონოლოგიური პრინციპი და არქეოლოგიური მასალის ხასიათი. საექსპოზიციო გეგმის მიხედვით სამ დარბაზში განლაგდა არქეოლოგიური მასალა და უძველესი არქიტექტურული ძეგლების მაკეტები. ყველაფერი ეს თანმიმდევრობით ხსნის ბიჭვინთის მდიდარ ისტორიულ წარსულს უძველესი დროიდან მოყოლებული განვითარებულ შუასაუკუნეებამდე. დასაწყისში დიდ საგამოფენო დარბაზში, დამთვალეირებელი ეცნობა მასალას ანტიკურ ეპოქამდე; აქ არის ქვის ხანის იარაღები: ნუკლეუსები, ანატკეცები, საჭრისები, ფირფიტები და სხვ. რომელიც გამოვლინდა მდ. ბზიფის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ქვის იარაღებთან ერთად გამოფენილია გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები და ე. წ. „საფეიქრო კერამიკის“ ფრაგმენტები. ეს მატერიალური კულტურა შეიქმნა ისტორიული კოლხეთის სანაპიროზე ბერძენთა კოლონიების გაჩენამდე, აბორიგენი მოსახლეობის მიერ.

სამწუხაროდ, ბიჭვინთის არქეოლოგიურ რუკაზე ადრეანტიკური პერიოდი ჯერჯერობით თეთრ ლაქად რჩება.

დიდი საკვლევამებო და მიწის სამეურნეო სამუშაოების მიუხედავად თითქმის სრულებით არ არის მოძიებული ელინისტური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ყველაფერი ეს გვაეჭვებს დღევანდელი ბიჭვინთის ტერიტორიაზე „დიდი პატიუნტის“ არსებობაში, რაზეც სტრაბონი არტემიდორე ეფესკუეზე დაყრდნობით მიუთითებდა.

დღესდღეობით შესაბამისი ადრეული არქეოლოგიური მასალის უქონლობის გამო, იმ ვიტრინის შემდეგ, სადაც გამოფენილია წინაანტიკური ხანის ძეგლები, დამთვალეირებლები ეცნობიან ციხე-ქალაქ პიტიუნტის გენგეგმას. გეგმაზე თვალნათლივ გამოირჩევა ბიჭვინთის ნაქალაქარის ძირითადი უძველესი ნაგებობანი. — უწინარეს ყოვლისა მძლავრი ციხის კედლები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის საყარაულო კოშკები. ციხე-სიმაგრის შიდა ნაწილში აღნიშნულია საკულტო და უტილიტარული შენობები. № 1 დარბაზის სამხრეთ კედელზე მოცემულია საეკლესიო ნაგებობა ციხე-ქალაქი — აკროპოლისის გეგმა. უძველესი ბაზილიკის გეგმაზე ნაჩვენებია, საქვეყნოდ ცნობილი ბიჭვინთის მოზაიკის განლაგების პრინციპი, რომელიც ამ საკულტო ნაგებობაში იატაკის როლს ასრულებდა.

ამ გეგმის მიხედვით დამთვალეირებელს უადვილდება მრავალრიცხოვანი მოზაიკის ფრაგმენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რომლებიც აღმ. კედლის ვიტრინაში გამოფენილ დარბაზებშია განლაგებული. ამათ შორის საყურადღებოა მოზაიკის ფრაგმენტი ძველბერძნული წარწერით, რომელიც მდებარეობდა საკურთხეველის ნაწილში; ძვირფას ფრაგმენტებს მიეკუთვნება ირმების კომპოზიცია და გეომეტრიული ორნამენტი.



საჭიროა ნახვასმით აღინიშნოს, რომ ბიჭვინთის მრავალფეროვნება არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის ყველაზე ძვირფასია ბჭვინთის მხატვრობისა, შედგენილი ანტიკური ხელოვნებისა და რა თქმა უნდა იგი რჩება პირველხარისხოვან ექსპონატად. უძველესი ზაზილიკის მოზაიკა შესრულებულია ადგილობრივი ნატურალური ოთხკუთხა კენჭებით. სპეც. ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ბიჭვინთის მოზაიკა ელინიზმის ტრადიციების მატარებელია, ამავდროს ცალკეულ სიუჟეტებზე გამოყენებულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მასალა.

გარდა საკულტო დანიშნულების მოზაიკისა, ძვირფასი ექსპონატების რიცხვში წარმოდგენილია საერო ხასიათის მოზაიკაც, რითაც იყო მორთული ქალაქ პიტიუნტის ნაგებობები. საერო ხასიათის მოზაიკებს ბიჭვინთის მუზეუმში ეკუთვნის შემდეგი სცენები: „სპილოებით ლომებზე ნადირობის“ ფრაგმენტები, „ტრიტონი“, „გეომეტრიული ორნამენტი“.

ბიჭვინთის ნაქალაქარის მაკეტის გეგმის ქვეშ აწყვია სამშენებლო მასალის ნიმუშები. ამ მასალებიდან ჩანს რომ იმდროინდელი ხელოსნები სარგებლობდნენ ძირითადად ადგილობრივი მასალით. საფორტიფიკაციო და სხვა შენობების ასაგებად დიდი რაოდენობით იყენებდნენ კირხსნარს, ზღვის კონგლომერატს, კირქვას. ადგილობრივი თიხა გამოიყენებოდა სამშენებლო კერამიკული მასალის დასამზადებლად. ზემოდასახელებულის გარდა სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო მარმარილო და ქვიშაქვა. ისინი კონსტრუქციულ როლს ასრულებდნენ, ამკობდნენ შენობის ფასადსაც.

ცალკე ვიტრინა აქვს დათმობილი კერამიკულ ჭურჭელს — ამფორებსა და პითოსების ფრაგმენტებს. გათხრების დროს გამოვლენილ მრავალრიცხოვან ამფორის ფრაგმენტებს შორის ჭარბობს იმპორტული ცალები, რომელთაც შემოპქონდათ ლვინო, „ზეითუნის ზეთი“, ხორბალი, ბრინჯი. აქვეა ადგილობრივი ე. წ. კოლხური ამფორები II—IV სს. ერთ ვიტრინაში ამფორებთან ერთად განლაგებულია სქელკედლიანი პითოსების (ქვევრების) ფრაგმენტები და ტაფის სახელურები.

განსაკუთრებულ ეფექტს მნახველებზე ახდენს რომაული წითელლაკიანი კერამიკა; გამოფენილია როგორც მთლიანი ჭურჭელი, ისევე მრავალსახოვანი ნატეხები. მათ შორისაა: დოქები, ფინჯნები, თეფშები, ცალკეული ორნამენტირებული ფრაგმენტები. წითელლაკიანი კერამიკის უმრავლესობა სადაა.

ნაქალაქარის ტერიტორიის შესწავლისას, სადაც ახ. წ. I—III სს. დაბნაკებული იყო რომის გარნიზონი, გამოვლინდა საკმაო რაოდენობით საბრძოლო იარაღები: დანები, ხანჯლები, ისრები და ისრისპირები; ბუნებრივია მათ თავისი ადგილი მიეჩინა მუზეუმის ვიტრინებში. ცნობილია, რომ ძველ ბიჭვინთელთა სამეურნეო საქმიანობაში არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა მეთევზეობა. ამაზე მეტყველებს ვიტრინაში გამოფენილი შემდეგი ექსპონატები: ანკესები, ტყვიის საძირავი ბურთულები და ბადის საქსოვი ბრინჯაოსა და ძვლის ხელსაწყოები.



საქართველოს
ხალხთა რესპუბლიკის
ხალხთა ბიბლიოთეკა

მეორე საგამოფენო დარბაზის პირველ ვიტრინაში განლაგდა სხვადასხვა ხასიათის ადგილობრივი მასობრივი კერამიკული ნაკეთობა, ე. წ. სასადილო ჭურჭელი. აქვე შევხვდებით, ლითონის, ძვლისა და ხისაგან დამზადებულ სხვადასხვა ხელსაწყოებს, რომლებითაც სარგებლობდნენ გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხელოსნები.

მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ვიტრინა შემდეგი სამკაულებით: ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ფიბულები, საკინძები, მძივები, ბეჭდები; საყურადღებოა მინის მძივები და ჯვრები. უახლოეს ხანში ეს გამოფენა შეივსება ქალის ოქროს სამკაულების მულაჟებით. ამ სამკაულების გვერდით დგას მცირე ამფორები და მინის მინიატურული ჭურჭელი, სურნელოვანი ნელსაცხებლებისათვის.

ცალკეა გამოფენილი ადგილობრივი კერამიკული ჭრაქები, დამზადებული ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებში. უნიკალურია პატარა ბრინჯაოს ჭრაქი, რომლითაც სარგებლობდნენ არა შენობის გასანათებლად, არამედ საკულტო წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს. მინის მრავალრიცხოვან ჭურჭლის ფრაგმენტებს დათმობილი აქვს ორი სპეციალური ვიტრინა. აქვე ცალ-ცალკეა გამოფენილი ბრინჯაოს ორი ქანდაკება ბიჭვინთის ნაქალაქარიდან. ერთ მათგანზე მეთევზის საკულტო გამოსახულებაა, მეორეზე მევენახეობა-მელვინეობის ღმერთი დიონისე (ბახუსი, ვაკხი). ეს პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლები მეტყველებენ ადგილობრივ მოსახლეობაში მევენახეობა-მელვინეობისა და მეთევზეობის განვითარებაზე.

№ 2 დარბაზის აღმოსავლეთ კედელზე მოცემულია ტიპიური რომაული გვიანანტიკური აბანოს მაკეტი, რომელიც, მოქმედებდა რომაელი ლეგიონების აქ ყოფნის დროს. აბანო შესდგებოდა რამდენიმე განყოფილებისა და იატაკქვეშა გათბობისაგან.

აბანოს გვეგმაზე ექსპონირებულია დიდი ბრტყელი, კერამიკული ფილები და კალორიფერის ნიმუშები, რომელიც გამოყენებული იყო ამ აბანოს აშენების დროს. როგორც ბიჭვინთის დაბლობის არქეოლოგიური მასალის მთელი კომპლექსი ადასტურებს, გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში ბიჭვინთას ფართო კულტურულ-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობა ქონდა ბევრ ქალაქთან და სახელმწიფოსთან. ამის საუკეთესო სურათს იძლევა მდიდარი ნუმისმატიკური მასალა, რომელიც გამოვლენილია და შესწავლილია ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა მიერ. ამასთან დაკავშირებით მუზეუმის ექსპოზიციის გათვალისწინებით, შესრულებული იქნა ფერადი ლითონისაგან დამზადებული დიდი რუკა, რომელშიც ასახულია ბიჭვინთის საგარეო სავაჭრო ურთიერთობანი.

რუკაზე მოცემულია მონეტები და განსაზღვრულია მათი მოჭრის ცენტრები. ადრეშუასაუკუნეების არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებისათვის გამოყოფილია ცალკე დარბაზი. დასავლეთის კედელზე განლაგებულია მაკეტები 1970-71 წწ. არქეოლოგიური ძიების დროს აღმოჩენილი, ადრეზიანტიკური ეპოქის ორი ძეგლისა სოფ. ალახაძიდან, ხოლო, საპირისპირო აღმოსავლეთის კედელთან ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესიისა, რომელიც აგებულია ნაქალაქარიდან სამხრეთით ზღვის სანაპიროზე.



ექსპოზიცია დაგვირგვინებულია X ს. ბიჭვინთის ტაძრის ხედვებით, შესწავლული XVIII—XIX სს. ცალკეული მხატვრების მიერ. *სამხრეთი*

მესამე დარბაზის ვიტრინაში მოთავსებულია კარგად შემონახული კერამიკული დოქები. ამავე დარბაზშია დიდი პითოსი და X ს-ის წყალსადენის ნაშთები, კერამიკული მილები, ამ წყალსადენზე დღემდეა შემორჩენილი ხალხური ლეგენდები.

ბოლო დარბაზში, რომლის ექსპოზიცია მზადდება, გამოფენილი იქნება მასალები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და საკურორტო ცენტრის შესახებ.

ბიჭვინთის მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპოზიციას თან ახლავს საინტერესო მხატვრული სახეები, ძველი სახელოსნო წარმოების პროცესი, იმ უძველეს ხელოსანთა გამოსახულებები, რომლებიც სამუშაოს ასრულებდნენ კედლის მხატვრობაზე, ნაჩვენებია თუ როგორ ამზადდნენ მოზაიკას, თიხისა და მინის ჭურჭელს. მხატვრულადაა გაფორმებული ყველა ვიტრინა. აქ ძირითადად გამოყენებულია ძველბერძნული ლეგენდების „ოქროს საწმისის“ მოტივები და ზოგიერთი სიუჟეტი ანტიკური მითოლოგიისა.

ახალი საგამოფენო დარბაზისა და შესაფერისი ვიტრინის მოწყობამ, შესაძლებლობა მოგვცა ბიჭვინთის კონცხზე მრავალწლიანი გათხრების შედეგად მოპოვებული მთელი არქეოლოგიური მასალა სათანადოდ დაგვეცვა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მუზეუმს ახლახან გადაეცა უნიკალური ექსპონატები — ბრინჯაოს ორი ფიგურა, კონსტანტინე აბაზგის ტყვიის შეკიდული ბეჭედი და ქალის სამკაულები. ექსპედიციის მიერ გადმოცემული ამ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე საგრძნობლად გამდიდრდა მუზეუმის ფონდი.

ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია წარმატებით აგრძელებს გათხრებს ძველი ბიჭვინთის მიწაზე. 25 წლის განმავლობაში ამ ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი საბჭოთა არქეოლოგი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ა. აფაქიძე. ამჟამად აღნიშნულ ექსპედიციას სათავეში უდგას ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. ლორთქიფანიძე. დაწესებული კეთილი ტრადიციების თანახმად მუზეუმში კვლავაც შეივსება ექსპედიციის მიერ მოპოვებული ახალი ექსპონატებით.

გარდა ამ მუდმივი საგამოფენო დარბაზებისა, დღეისათვის ბიჭვინთის მუზეუმის განკარგულებაშია რესტავირებული შენობა დიდი ნათელი დარბაზებით, სადაც რეგულარულად ეწყობა მოძრავი გამოფენები. აქ ხშირად ნახავთ ქართველი და აფხაზი მხატვრების ნამუშევრების, ჯგუფურ და პერსონალურ გამოფენებს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების ხელოვანთა ნაწარმოებებს.

ბიჭვინთის მუზეუმი თავის საგამოფენო დარბაზებით, X ს. ტაძარი — საკონცერტო დარბაზი და ძველი ნაქალაქარი, ერთ ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტია შავიზღვისპირეთში. ამის გამოა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა როგორც საბჭოთა ასევე უცხოელ ტურისტთა, ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა ნაკადი. ტურისტების და ექსკურსანტების რაოდენობამ 400.000 მიაღწია.



საქართველოს
ქრონიკონი

მუზეუმს უყავს მალალკვალიფიციური ექსკურსიამძღოლები. მშრომლები შეძლებისდაგვარად ასრულებენ მნიშვნელოვან სამუშაოებს ბიჭვინთის არქეოლოგიური ძეგლების გამოყენებისა და პროპაგანდის თვალსაზრისით. მუდმივად მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებსა და სამეცნიერო შრომების გამოცემებში.

მუზეუმს ეხმარება მუშაობაში ადგილობრივი მოსახლეობაც. ისინი განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობიან მოცემულ დანესებულებას. ბიჭვინთის მცხოვრებლებს მოაქვთ მინის სამუშაოების დროს შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც ამშვენებენ მუზეუმის ექსპოზიციას.



**ენაზურისა და აზაპის ორმდინარეთში ახლად აღმოჩენილი
ბრინჯაოს ცულაბი**

დასავლურ-ქართული კულტურის გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღია ბრინჯაოს ცული, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში „კოლხური“, „ყოზანური“ ან „კოლხურ-ყოზანური“ ეწოდება¹. ეს იარაღი კოლხეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო და შემდეგ აქედან უნდა გავრცელებულიყო ჩრდილო კავკასიის ე. წ. ყოზანურ კულტურაშიც².

კოლხურ ცულში სამ ძირითად ტიპსა და ორ ქვეტიპს გამოყოფენ. პირველი ტიპი ხასიათდება მახვილი (ორფერდა) ყუით, წვეტიან-ოვალური სატარე ნახვრეტით, შვეტილი, ექვსად დანახნაგებული ტანით და მაღალი გორდა, თითქმის სიმეტრიული პირით; პირველი ქვეტიპი განირჩევა I ტიპისაგან მხოლოდ სატარის ძირზე შექმნილი ქიმისებური შვერილებითა და შედარებით პატარა პირით; II ტიპის ყველაზე უფრო არსებით თავისებურებას წარმოადგენს მასიური დანახნაგებული ყუა, შვეტილი შუბლი და გორდა, ძლიერ ასიმეტრიული პირი; II ქვეტიპი ძირითადი ტიპისაგან განირჩევა მხოლოდ მახვილი ყუით; III ტიპში გაერთიანებულია კოლხური ცულის ის სახეობა, რომელსაც მრუდე, არასწორი, ორგზის მოღუნული ტანი აქვს².

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს ერთერთი ლოკალურ რეგიონში ენგურ-აბაპის ორმდინარეთში წარმოებული გათხრებისა³ და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად გვეგეტკორის, ფოთის, ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში თავი მოიყარა ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ და მათ შორის ბევრია კოლხური ცულიც; ამჟამად აქ აღმოჩენილია ამ იარაღის ყველა ტიპი და ქვეტიპი (იხ. ცხრილი).

ჩვენი ნაშრომის მიზანია ახლად აღმოჩენილი ცულეების აღწერა-გამოკვლევა, მათი აღმოჩენის ვითარების დადგენა და არქეოლოგიური რუკის შედგენა, რომელზედაც აისახება ენგურ-აბაპის ორმდინარეთში ცულეების გავრცელების ყველა შემთხვევა.

1. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა. ცულს ორი წიბური და მათ შორის მკვეთრი ღარი გაუყვება; წიბურები ყუის თავს აღწევენ, წინა და უკანა ნიღრი ერთმანეთის ტოლია, ამიტომაც ორმხრივმჭრელი, მაღალი და გორდა პირი თითქმის სიმეტრიულია. ტანი სიგრძივ ექვსადაა დანახნაგებული.

სიგრძე — 17 სმ; პირის სიფართე — 8 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპი, დ. ქორიძის — III სახეობა)⁴.

ცული ნაპოვნი იქნა 1978 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში, საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე მდებარე დიხა გუძუბასთან, ელ. მამულას მიერ (ზიემ № 5360) არქ. № 2; ტაბ. I, სურ. 1). ცულთან ერთად აღმოჩნდა თიხისაგან დამზადებული ცხვრის თავის ქანდაკება.

2. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. დაცულია მხოლოდ იარაღის წვედის ქვედა ნაწილი. პირი მაღალი, გორდა სიმეტრიულია, წინა ნილრი თითქმის ერთმანეთის ტოლია; ფხაზე მცირედი ამონატეხებია. ცულს ემჩნევა მეორადი გამოყენების კვალი (გადანატეხია და დაბლაგვე-ბულია დარტყმების გამო).

პირის სიფართო — 7,3 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული ნაპოვნი იქნა შემთხვევით 1968 წელს სოფელ მუჭავაში (წა-ლენჯინის რაიონი) და იმავე წელს შეიძინა ზუგდიდის ისტ. ეთნ. მუზეუმმა (ზიემ № 5426) არქ. № 82, ტაბ. I სურ. 2).

3. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ყუა მაღალი და მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან-ოვალური, მთელი ტანი — პროპორციული; პირი გორდა, მაღალი და თითქმის სიმეტრიული; წინა ნილრი რამდენიმე მილიმეტრით უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა. ფხაზე ოდნავ შესამჩნევი ამონატეხებია; ტანი სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული.

იარაღი უხვადაა ორამენტირებული და თითქმის მთლიანად გრავი-რებული სახეებითაა შემკული. საჭრელ პირზე გამოსახულია ჯამი და ხე-ლის ქანდაკება. ჯამში ხელი ყრის თუ ასხამს რაღაცას. სატარე ნახვრეტის თავსა და ბოლოში გამოსახულია მზის ოთხი გამოსახულება. გ. ელიაშვილის გამოხატულებები მიაჩნია მზის საკულტო-სარიტუალო ემბლემად.

სიგრძე — 17 სმ; პირის სიფართო — 5 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილ იქნა 1974 წელს სოფ. მუხურჩაში (გეგეჭკორის რაიონი) და წარმოადგენს „პეტრეს ნაკარუს“ მეორე სამარხის განძის ნა-წილს (გმმ. ა. $\frac{11500/1}{625}$ ტაბ. II, სურ. 1). განძში შედის ასევე სხვადა-სხვა ფერის გიჟრის მძივები, ოთხი მინიატურული ცული, ბრინჯაოს მოხა-ტული ბალთები, სამაჯურის ფრაგმენტი, სამი ორნამენტირებული სამა-ჯური, ათი სხვადასხვა ზომის სეგმენტური იარაღი, რამდენიმე ქანდაკება (ორატორის, ბეჰემოტის, ფანტასტიკური ცხოველის და თევზის) და ორი რკინის ცული (განძი გეგეჭკორის მხარეთმც. მუზეუმშია დაცული).

4. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ყუა და სატარე კედლის ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანი-ლობისა უნდა ყოფილიყო; სატარე კედლებს გარედან ორი წიბური და მათ შორის ღარი გაუყვება; პირი თითქმის სიმეტრიულია; წინა და უკანა ნილრი ერთმანეთის ტოლია; ფხაზე ამონატეხია; ტანი სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული.

პირის სიფართო — 5,3 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილია 1979 წელს სოფ. ახუთში (ჩხოროწყუს რაიონი) ზერიშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე ვენახის გადაბრუნების დროს (ჩმმ, ინ. 501, ტაბ. I, სურ. 3). ცულთან ერთად ნაპოვნია სეგმენტური იარაღი (ინ. 500), ბრინჯაოს ზოდი (ინ. 296) და ბრინჯაოს ოთხის ფრაგმენტი (ინ. 533).



5. მინიატურული⁵ კოლხური ცული — ბრინჯაოსი. ის ზომით ძალზე პატარაა (სიგრძე — 5 სმ, სიგანე — 2,3 სმ). მას აქვს მახვილი ყუა და წვეტიან ოვალური სატარე ნახერეტი; სატარე ნახერეტს გაუყვება წიბურები, რომელთაგან ერთი ყუის თავის მარცხენა მხარეს აღწევს, ხოლო მეორე სატარის იდლიას უერთდება, პირი სიმეტრიულია, წინა და უკანა ნიღრი ერთმანეთის ტოლია; ტანი შვეტილი და სიგრძივ ექვსად დაწახნაგებულია (იხ. ტაბ. I, სურ. 4).

ვფიქრობთ, ეს არის სარიტუალო დანიშნულების ცული, რადგანაც ასეთი პატარა ზომის იარაღს საბრძოლო, სამეურნეო ან სანადირო დანიშნულება არ ექნებოდა. მითუმეტეს რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მიცვალებულთათვის სამარხებში სწორედ ამგვარი დიდი ზომის იარაღის ჩატანების შემთხვევები⁶, ხოლო 1974 წელს გეგეჭკორის მუზეუმის მიერ ფიჩხერში გათხრილ ერთ-ერთ სამარხში მიცვალებულის ძვლებთან ერთად აღმოჩენილი გიშრის მინიატურული ცული ამ იარაღის სარიტუალო დანიშნულებას დამაჯერებლად ასაბუთებს.

ცული დაცულია ზუგდიდის ისტ. ეთ. მუზეუმში. მისი აღმოჩენის ვითარებისა და დროის დადგენის გარშემო ვერავითარ ცნობებს ვერ მივაგენით.



6. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან-ოვალური; სატარის ძირზე და კაჩასთან მდებარეობს სიდიდის ქიმიკური შვერილები დაუყვება; ცულს ორი ნიბური გაუყვება, რომელთაგან ერთი აღწევს ყუის თავის მარცხენა მხარემდე, ხოლო მეორე სატარე კედლის ქვედა ნაწილზე ორად იყოფა და ერთი ყუის თავის შუა ნაწილს უერთდება, მეორე კი — ცულის ილღისას; პირი გორდა და აშკარად ასიმეტრიულია; უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე — წინა; ფხისკენ პირი თანდათან თხელდება; ტანი სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული.

სიგრძე — 15 სმ; პირის სიფართე — 6,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპის 1-ლი ქვეტიპი; დ. ქორიძის — I სახეობა).

ცული ნაპოვნია 1977 წელს სოფელ ერგეტაში (ზუგდიდის რაიონი) მამულიას გუძუბასთან კ. გვალიას მიერ (ზიემ № 5362/არქ. № 4, ტაბ. I სურ. 5). ცულთან ერთად აღმოჩნდა თიხისაგან დამზადებული ცხვრის თავის ქანდაკება.

7. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. დაცულია მხოლოდ იარაღის ილღის ქვემო ნაწილი, ხოლო ზედა ნაწილი გადატეხილია. გადანატეხზე გადანაქლიბიცი ეტყობა; ასეთი კვალი ემჩნევა პირზე და ფხაზეც; პირი გორდა და ასიმეტრიულია.

პირის სიფართე — 4,5 სმ.

ო. ჯაფარიძის — I ტიპის 1-ლი ქვეტიპი; დ. ქორიძის — I სახეობა

ცული ნაპოვნია 1974 წელს სოფ. ორულუს (ზუგდიდის რაიონი) მცხოვრებ მ. პერტაიას მიერ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე (ზიემ № 5421 არქ. № 77, ტაბ. 1, სურ. 6).


8. განსაკუთრებული სახესხვაობის კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ორფერდა (მახვილი) ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან-ოვალური; ტანი, წელი და საკვეთი პირი თითქმის პროპორციულია; იარაღის პირი მხოლოდ უკანა მხარესაა ოდნავ გამოწეული. სატარე კედელი მარცხენა მხარეს ამოტეხილია.

ვფიქრობთ, რომ ეს არის I ტიპის 1-ლი ქვეტიპის ბრინჯაოს ცულის ყველაზე ადრინდელი ფორმა, რადგანაც მის გაფორმებაში არ ვხედავთ იმ სირთულეებს, რაც ამ ქვეტიპს ახასიათებს (ტანის ექვსად დაწახნაგება, ნიბურები მათ შორის მდებარე ლარებითა და ნიღრებით). იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას კი, რომ ეს I ტიპის ქვეტიპის ადრინდელი სახეა, გვაძლევს ის გარემოება, რომ ეს იარაღი გარეგნობით (პირის, ყუისა და სატარე ნახვრეტის მოყვანილობა) სწორედ, ამ ქვეტიპს უახლოვდება.

სიგრძე — 14,5 სმ; პირის სიფართე — 4 სმ.

ცული აღმოჩენილია 1969 წელს ნალეჰსაოში (გვეგეჭკორის რაიონი) და წარმოადგენს ნალეჰსაოში აღმოჩენილი განძის ნაწილს (გმმ. ა.

5691/1
გ. 321



ტაბულა 1.

Tab. I



ტაბულა 2.

Tab. II

ტაბ. 1, სურ. 7). ნაღესაო, ცნობების მიხედვით⁷, სწორედ ის ადგილია, სადაც 30-35 საუკუნეების წინ ძველი კოლხელების ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ერთ-ერთი ცენტრი არსებობდა (იხ. რუკა). შემთხვევითი არ არის, რომ I ტიპის 1-ლი ქვეტიპის ადრინდელი ფორმა სწორედ აქ აღმოჩნდა.


9. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას მაღალი ექესად დაწახნაგებული ყუა აქვს, რომელიც სატარე ნახვრეტიდან ყელითაა გამოყოფილი. სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა; გარედან სატარის კედლებს სამი მკვეთრი ნიბური და მათ შორის ორი ღარი გაუყვება; წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა, ამიტომაც პირი ძლიერ ასიმეტრიული და გორდაა; პირი, რომელზედაც ამონატეხებია, ფხისკენ თანდათან თხელდება. ტანი სიგრძივ ექესადაა დაწახნაგებული.

სიგრძე — 18,6 სმ, პირის სიფართო — 7,2 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის — II ტიპი, დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული ნაპოვნი იქნა სოფ. მუფავაში (ნალენჯიხის რაიონი) შემთხვევით 1968 წელს (ზიგმ № 5425 არქ. № 1, ტაბ. III სურ. 1).

10. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ოთხად დაწახნაგებული, მაღალი ყუა აქვს. სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა;



ტაბულა 3.

Табл. III

| | | |
|----|---|------------|
| 12 | უოჩნაშენსო | I ტიპის |
| 1 | ოჩნაშენსიკოშვილი | ჯოღნაშვილი |
| 10 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | შუღი |
| 9 | ქ.წ. ჟაშვითის ჟოღნაშვილი | |
| 8 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | |
| 7 | ქ.წ. ჟაშვითის განსაუთოკოშვილი სახეხეპოტხე | |
| 6 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | |
| 15 | უოჩნაშენსო | II ტიპის |
| 1 | ოჩნაშენსიკოშვილი | ჯოღნაშვილი |
| 13 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | შუღი |
| 11 | ქ.წ. ჟაშვითის განსაუთოკოშვილი სახეხეპოტხე | |
| 10 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | |
| 9 | ქ.წ. ჟაშვითის ჟოღნაშვილი | |
| 8 | ჩაფიანი პუნაშიფან ჟოღნაშვილი | |
| 1 | უოჩნაშენსო | III ტიპის |
| 1 | ოჩნაშენსიკოშვილი | ჯოღნაშვილი |
| 1 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | შუღი |
| 5 | ფინიკოტოტოტი ჟოღნაშვილი | |
| 4 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | |
| 1 | ყუაპოტოტოტი ბიკინაშო | |
| 1 | ჩაფიანი პუნაშიფან მოჭინაპოტხე | |

სატარის კედლებს სამი წიბური და მათ შორის ფართო ლარები გაუყვება; წინა ნილრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა, ამიტომაც პირი გორდა და ასიმეტრიულია. ტანი სიგრძეზე ექვსადაა დაწახნაგებული.

სიგრძე — 18,5 სმ, პირის სიფართე — 7 სმ.
(ო. ჯაფარიძის — II ტიპი; დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული ნაპოვნია 1935 წელს დარჩელში (ზუგდიდის რაიონი) შემთხვევით (ფმმ № 195 ბრ. 14, ტაბ. III სურ. 2).

11. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ოთხწახნაგა ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან-ოვალური; სატარის კედლებს სამი ზურგულა ხაზი გაუყვება. წინა ნილრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა; საკვეთი პირი მრგვალი და ასიმეტრიულია.

სიგრძე — 15 სმ, პირის სიფართე — 5 სმ.
(ო. ჯაფარიძის — II ტიპი; დ. ქორიძის — IV სახეობა).



ცული აღმოჩენილია 1974 წელს ს. მუხურჩაში (გმმ. ა. შერქიანი, გ. 625) 11502/1

ტ. III, სურ. 3).

12. განსაკუთრებული სახეობის კოლხური ცული — ბრინჯაოსი. სხვა ცულებისაგან განსხვავებით მას მრგვალი სატარე ნახვრეტი და სოკოსებრი ყუა აქვს; სატარის კედლებს სამი ნიბური და მათ შორის ღარები გაუყვება; უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე — წინა; პირი საკმაოდ დაბალი და ასიმეტრიულია.

სიგრძე — 15 სმ, პირის სიფართე — 6 სმ.

(ო. ჯაფარიძის II — ტიპი, დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული აღმოჩენილია ს. მუყავაში (წალენჯიხის რაიონი) შემთხვევით, 1968 წელს (ზიემ № 5427 არქ. № 83, ტაბ. III სურ. 4).

13. მინიატურული კოლხური ცული — ბრინჯაოსი. ცულის დამახასიათებელი ნიშანია მახვილი ყუა და მრგვალი სატარე ნახვრეტი. წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა; პირი გორდა და ასიმეტრიულია.

სიგრძე — 7,3 სმ. პირის სიფართე — 2,7 სმ.

(ო. ჯაფარიძის — II ტიპის 1-ლი ქვეტიპი; დ. ქორიძის IV სახეობის 1-ლი ქვესახეობა).

ცული ნაპოვნი იქნა 1970 წელს ურთაში (ზუგდიდის რაიონი) შემთხვევით გრ. ვართაგავას მიერ (ზიემ № 5434 არქ. № 90, ტაბ. III. სურ. 5).

14. მინიატურული კოლხური ცული — ბრინჯაოსი. იარაღის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მახვილი ყუა და წელიდანვე გაფართოებული მრგვალი პირი. ცულს სატარე კედლის მარჯვენა მხარე ამოტეხილი აქვს. თავად სატარე ნახვრეტი წვეტიან — ოვალური მოყვანილობისაა.

სიგრძე — 10 სმ, პირის სიფართე — 3 სმ.

(ო. ჯაფარიძის — III, ქვეტიპი; დ. ქორიძის — IV₂, ქვესახეობა).

ცული აღმოჩენილ იქნა 1974 წელს ს. მუხურჩაში (გმმ ა. შერქიანი, გ. 628) 11503/2

ტაბ. III სურ. 6).

15. ამ რეგიონში პირველადაა აღმოჩენილი ტანში ორგზის მოღუნული ბრინჯაოს კოლხური ცული. მას მაღალი, ექვსწახნაგა ყუა აქვს. იგი სატარე ნახვრეტისაგან ყელითაა გამოყოფილი; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა; წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა; პირი ასიმეტრიულია; სატარის კედლებს ორი ნიბური და მათ შორის ღარები გაუყვება.

ცული შემკულია ორნამენტით. მასზე გამოსახულია ზღვის ტალღისებრი ფიგურები და სამი ხვია სპირალი. ვფიქრობთ, ტალღებ შუა მოცემულია ნავის გამოსახულება სამკუთხა აფრით. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლექსიკური მონაცემებით დადასტურებულია წყლის კულტის არსებობა ძველ ქართველებში, აფხაზებსა და ჩერქეზებში. ჩვენი აზრით, ცულზე მოცემული გამოსახულება დაკავშირებული უნდა იყოს სწორედ წყლის

კულტთან. მითუმეტეს, რომ ზღვაოსნობა და სანაოსნო საქმე ფრიად განვითარებული იყო ქართველურ ტომებში, განსაკუთრებით კი ლაზებში (ზ. კუტალიევილი).

სიგრძე — 16 სმ; პირის სიფართო — 5,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის — III ტიპი, დ. ქორიძის — IV ქვესახეობა).

ცული აღმოჩენილია 1974 წელს ს. მუხურჩაში და წარმოადგენს „პეტრეს ნაკარუს“ პირველი სამარხის განძის ნაწილს (გმმ. ა. 11502/1

გ. 625 ტაბ. II სურ. 2). განძში შედის სხვადასხვა ფერის გიშრის მძივები, რკინის ცული, ჯიხვისა და მამაკაცის თავნამტყრეული მინიატურული ქანდაკებები, თიხის მძივები და ამფორის ძირის ნატყებები¹.

შენიშვნა I: დამატებების სახით ნაშრომს დაეურთეთ ბრინჯაოს ბრტყელი ცულების ფოტოსურათებიც, რადგანაც ისინი სწორედ უკანასკნელი 15 წლის მანძილზეა ამ რეგიონში აღმოჩენილი. კერძოდ კი ორულსა (იხ. ტაბ. III სურ. 7) და ზუგდიდში (ტაბ. III სურ. 8). აქვეა აღმოჩენილი ერთი ყუაკვერიანი ცული სოფ. მუხურჩაიდან (ტაბ. I, სურ. 8).

სტატიაში არ აგვიწერია ის ცულები, რომელთა აღმოჩენის დრო და ადგილი უცნობია. ესენია: ერთი ყუამილიანი და ორი I ტიპის 1-ლი ქვეტიპის კოლხური ცული. ნაშრომში არ შევიტანეთ ასევე 1957 წელს ორულში აღმოჩენილი I ქვეტიპის ორი ცული და 1924 წელს ს. ხეთაში ნაპოვნი I ტიპის ბრინჯაოს ცული, რადგანაც ისინი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება (ზემოთ დასახელებული ყველა ცული დაცულია ზუგდიდის ისტ. ეთ. მუზეუმში).

შენიშვნა II: წერილში შესული არ არის მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში დაცული შვიდი I ტიპის კოლხური ცული, რომელიც მუხურჩას ზემოაღწერილ პირველ ორ სამარხს განეკუთვნება. სხვა მხრივ კი ამ რეგიონში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ახლადაღმოჩენილი და შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს ცულები ჩვენ მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებულია.

¹ დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 8 და გვ. 73.

² ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-ბ, თბ., 1950, გვ. 38, 42-71.

³ ამ რეგიონში გათბრებს ძირით.დად აწარმოებს გეგეკორის მხარეთმ. მუზეუმის არქ. ექსპედიცია, ხოლო პერიოდულად — თ. მიქელაძის კოლხეთის ექსპედიცია, ნოქალაქევის ექსპედიცია (ხელმძღვ. პ. ზაქარაია), საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. გოგაძე) და სხვ.

⁴ წერილში აღწერილი ცულები დაღაგებულია ო. ჯაფარიძის ტიპოლოგიის მიხედვით, მაგრამ იქვეა მითითებული დ. ქორიძის ტიპოლოგიაც. ორივე მეცნიერის ტიპოლოგია აღებულია მათ ზემოთ დასახელებული ნაშრომებიდან (ო. ჯაფარიძე — „კოლხური ცული“ და დ. ქორიძე — „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“).

⁵ ამგვარ პატარა ზომის ცულებს მინიატურულს იმიტომ ვუწოდებთ, რომ განვასხვავოთ ისინი დიდი და საშუალო ზომის საბრძოლო, სანადირო, სამეურნეო და განსაკუთრებით, ორნამენტარული, სარიტუალო დანიშნულების ცულებსაგან.

⁶ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 143.

⁷ გეგეკორის მხარეთმ. მუზეუმში დაცული არქ. რუცა (შედგენილ გ. ელიაშვილის მიერ, 1971 წელს) და ნალუსაოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ნივთები.

⁸ გ. ელიაშვილი, „პეტრეს ნაკარუს“, ვახ. „შრომის დროსა“, № 59, 18 მაისი, 1974 წ., გვ. 4.

მალაღანო ტაძრის საიდუმლოებანი

1792 წელს პალეში, მსოფლიო მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსმა, კურტ შპრენგელმა გამოსცა ხუთტომიანი წიგნის „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“ I ტომი, რომლის ქვესათაურში, „ძველი კოლხური მედიცინა“ ავტორმა ქართული მედიცინა დააყენა მსოფლიო ცივილიზირებული ხალხების უძველესი მედიცინის გვერდით. ეს გასაგებობა ვინაიდან ძველ ბერძნულ მითოლოგიურ წყაროებში და მხატვრულ პოეტურ ქმნილებებში, არა ერთხელ არის ნახსენები კოლხეთის მეფე აიეტის მეუღლე — ჰეკატე, რომელიც არესის ჭალაკში 50-მდე სამკურნალო მცენარეს აშენებდა. ამ მცენარეების სამკურნალო თვისებებს კარგად იცნობდა აიეტის ქალიშვილი მედეა... ჯადოსნური მკურნალი ყოფილა აიეტის და, კირკე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჰეკატეს ბალის კოლექციის სამკურნალო მცენარეები დღესაც წარმატებით გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი დიეტეტიკური, საყოფაცხოვრებო და დეკორატიული დანიშნულებისათვის არის განკუთვნილი. ქართული მედიცინის ისტორიის სისტემატიზება შედარებით გვიან, XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა. მედიცინის ისტორიის ორიგინალური და თავდადებული მკვლევარის, ლადო კოტეტიშვილის მიერ. 1938 წელს „იადიგარ დაუდის“ წინასიტყვაობის ქვესათაურში „მედიცინა ძველ საქართველოში XVI საუკუნემდე“ იგი ამბობდა: „ძველი ქართული მედიცინა ორგანული ნაწილია ქართული კულტურისა“. ამ არგუმენტირებულ განცხადებას ადასტურებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ბრინჯაოს არაერთი იშვიათი ხელსაწყო, გველის გამოსახულებიანი სამედიცინო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლები, ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის ქილები, სინჯარები და დოზატორები, რომლებიც იმაზე მიგვანიშნებენ, რომ საქართველოში სამედიცინო ხელოვნება ძვ. წ. ა. III, II და I ათასწლეულებშიაც კი მალაღ დონეზე იდგა. შუა საუკუნეების ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში კი ეს ფაქტები შედარებით გვიან აისახა, ან იყო XI საუკუნეზე უფრო ადრე, თარიღობრივად უპირველესი ჩვენამდე მოღწეული „უსწორო კარაბადინი“-ს მსგავსი ხელნაწერები, მაგრამ ჟამთა სვლამ ისინი აღარ შემოგვინახა. 1936 წელს ლადო კოტეტიშვილის „წიგნის სააქიმოსი“ ქვესათაურში „მედიცინა ძველ საქართველოში. XIII-მდე“ 17 გვერდზე ვკითხულობთ „ე. წ. სატაძრო მედიცინისა და მაგიური მედიცინის კვალი იმდენად აშკარა და ნათელია დღესაც კი, შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ მედიცინა ძველ საქართველოში უძველეს, წარმართულ დროიდან მომდინარეობს“-ო, ასე, რომ მეგალითური მედიცინა, ანუ ქვის ხანის „მაგიური მედიცინა და სატაძრო მედიცინა საქართველოში“, დღესაც განსაკუთრებული შესწავლის საგანია. ამისათვის სამედიცინო საქონელმცოდნეობის კომპეტენტური სპეციალისტების მიერ მოცემული უნდა იქნეს შეფარდებითი დეტალური ანალიზები არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მედტექნიკის იშვიათი ინსტ-



რუმენტებისა თანამედროვე მედიცინის იარაღებთან. ასეთი, შეფარდებული თი ანალიზები ჩვენ ერთ-ერთ სწორ გზად გვესახება წარსულის გამოკვლევების სწორად გაანალიზებისათვის. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სამკურნალო საქმე არ იყო გამოყოფილი, ეკლესიისაგან. რელიგია წარმართავდა არა მარტო მკურნალობის. წამალმცოდნეობის საქმეს, არამედ განაგებდა ხელნაწერების შედგენას, სარწმუნოებრივ ნიადაგზე დედანის შენარჩუნებას, წერა-კითხვის გავრცელებას, ამ მიზნით მცენარეული წარმოშობის საღებავებს მელნად იყენებდნენ და საერთოდ სამკურნალო საქმეებსაც კი რელიგიური საკულტო დანესებულებები აწარმოებდნენ. ისიც კარგად ცნობილია, რომ X, XI და XII საუკუნეებში სწავლა-აღზრდა, კულტურის ცენტრები და აკადემიები ფუნქციონირებდნენ საკულტო დანესებულებებთან, როგორც იყო (გამონაკლისია კოლხეთის რიტორიკული სკოლა, IV, ს; ივერთა მონასტერი ათონის მთაზე, გელათი, იყალთო და სხვა. საქართველოს მედიცინის ისტორიის და ბიოლოგიის კომპეტენტური სპეციალისტების მიერ დოცენტ ზურაბ შენგელიას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის პ. ფირფილაშვილის, (1958 წ), პროფ. მ. შენგელიას (1970 წ). და ჩვენი დეტალური ანალიზის შედეგად (1978 წ.) საბოლოოდ დადგინდა, რომ ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში 800 წლის წინათ ფუნქციონირებდა აფთიაქი. ჩვენ შეფარდებითი ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ ვარძიის აფთიაქის თახჩების (კედელში ჩატანებული თაროების) მსგავსი თახჩები არის მაღალაანთ ტაძრის“ ეზოში. როგორც „მაგიური და სატაქრო მედიცინის“ ბატონობის ხანა გვარწმუნებს, რელიგიურ საკულტო დანესებულების კომპლექსში შენდებოდა ქსენონი საავადმყოფო და ბუნებრივია ქსენონთან აფთიაქი-წამლების დასამზადებელი და შესანახი საწყობი. დადგინდა რომ, ასეთი ქსენონის ნანგრევები ახლაც არის გელათის მონასტერთან. „ქართლის ცხოვრების“ წერილობით წყაროებში დავით აღმაშენებლის მემატრიანე გვაუწყებს, რომ „დავითი იყო... ქსენონთა მშენებელი“ ავადმყოფთა მსახური. განამკნობდის მოთმინებისა მიმართ. განკრძალვის ყოველი საქმე შუნივერად და ღვთის მსახურობით“. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტების კონსტატაცია, ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ მცხეთის არმაზის გავლით ძველი სოფლების ხეკორძულასა და წინარების მახლობლად ქვათახევის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე „მაღალაანთ ტაძრის“ გალავანში აფთიაქის ფუნქციონირების ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. „მაღალაანთ ეკლესია“ XII-XIII საუკუნეების მიჯნით დათარიღებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ანალოგიურია.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის XV ბ ტომში აკადემიკოს ვახტანგ ბერიძემ 1942 წელს გამოაქვეყნა მოცულობით მცირე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც ეხება სოფელ წინარებისა და მდინარე კავთურის სანაპიროზე გაშენებული მაღალაძეების საგვარეულო ტაძრის არქიტექტურულ, ისტორიულ-ქრონიკურ და ქვაში ქარაგმებიანი წარწერების საიდუმლოებათა მეცნიერულ ახსნას. 196-ე გვერდზე ავტორი იმონებს თ. ჭორდანიას მიერ „ქრონიკებში“ გამოქვეყნებულ ასეთ დოკუმენტს: „სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანიძის საქადაგო სახლი და საკელი უმკვიდრო ქმნილ



იყო“. მაშასადამე, მცხეთის არმაზის გავლით, სოფლების ქვეყნულ ქალაქსა და წინარეხის შემდეგ მდებარე გალავნიანი ნაგებობაში მდებარე დღეს „მალალაძეების ტაძრის“ სახელით არის ცნობილი, XIII საუკუნის დასაწყისიდან, მაშასადამე დაარსებიდანვე ამ დოკუმენტის მიხედვით ივანიძეების საგვარეულო ძვალშესალაგი ყოფილა, მაგრამ „სოფლისა ვითარებისგან... ივანიძის ძეთა საკელი უმკვიდრო ქმნილ იყო“; რის გამოც XV საუკუნიდან მეფე ალექსანდრე დიდის ძის გიორგისა დროს (1445-1466 წლებში) მალალაძეები ხდებიან, ივანიძეების საგვარეულო ტაძრის მფლობელნი. ეს გვარი აღწევს შემდგომში დიდ სასულიერო წარმატებებს. ტაძრის ზემოთ რამდენიმე მეტრზე დაშორებული კოშკი დღესაც „სოლომონ მალალაძის კოშკად“ იწოდება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მალალაძეების შესახებ, მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით შუესწავლელი და გამოუქვეყნებელი სიგელ-გუჯარი და მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი ინახება, რომელიც საინტერესო კვლევის საგანია. ჩვენ ამჟამად შევხებით წამალთმცოდნეობის და საქართველოს ფარმაციის ისტორიისათვის ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს, რაც ნათელს ფენს ცნობილი მეცნიერის, ქართული მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსის, ლადო კოტეტიშვილის მოსაზრებას რომ, „მაგიური მედიცინა და სატაძრო მედიცინა უძველესია საქართველოში და ამ საინტერესო დარგის შესწავლა მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ მუშაობას. წამალთმცოდნეობისა და სამედიცინო საქონელმცოდნეობის თვალსაზრისით წარსულის შესწავლა და სატაძრო მედიცინის ზოგიერთი საკითხების დაზუსტება საინტერესო კვლევის საგანია. ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტები ვახლავთ, XV საუკუნით დათარიღებული, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“.

ძველი ხელნაწერებიდან „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ ყველაზე სრულყოფილი სახით არის მოღწეული ჩვენამდე. რასაც პირველ რიგში უნდა ვუმაღლოდეთ მის გარდამწერ მახარებელს და შემდეგ ვახტანგ VI-ს ვინაიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ გადაუნერია მახარებელს 1482 წელს და შემდეგ 1709 წელს ფურცლებად დაშლილი ვახტანგ VI-ს აუკინძია, გამოკვეთული და დადასტურებულია პროფ. ილია აბულაძის და კ. გრიგოლიას მიერ. მათ მიერ სარწმუნო წერილობით წყაროებში დამონმებულ ფრაზაში შემდეგს ვკითხულობთ: „დაინერა ქ-კს რო კელითა მალალაძის მცხეთის ქადაგის მახარებელისათა და მონამეც არის“.

შუა საუკუნეებში პრივილეგირებულ ფეოდალთა ძვალშესალაგ ტაძრებში იშვიათად როდი ხდებოდა კედლებზე ფრესკის სახით საკუთარი პორტრეტების წარმოჩინება. ასე მაგალითად: გელათში გამოსახულია მთელი სხეულით დავით აღმაშენებელი, დავით გარეჯში დემეტრე ბრწყინვალე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამ რამდენიმე წლის წინათ იქნა აღმოჩენილი შოთა რუსთაველის ფრესკა, ყინწვისში მოხატულია ზაზა ფა-



მალაღანთ ტაძრის გალავანში აღმოჩენილი ვარძიის თახებიანი აფთიაქის ანალოგიური ნაგებობა. (459 თახა). ე. გვილაშვილის ფოტო.

Строение, обнаруженное в ограде Магалаант - храма, аналогичное вардзийской аптеки с яшиами. (459 яши). (фото Е. Гигилашвили).

ნასკერტელ-ციციშვილის ფრესკა. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნის კარაბადინის“ გამოკვლევისას მე-14 გვერდზე სათაურით „ხელნაწერის გადამწერნი“, პროფ. მიხეილ შენგელია წერს: „1492 წელს კი მახარებელს კონსტანტინე მეფის მიერ სიმტიციცის წიგნიც გადაუწერია ივანიას ძისა მცხეთის ქადაგისა და მახარებლისა“ და შემდეგ განავრძობს: „ეს საბუთი საშუალებას იძლევა დამატებითი ცნობები გაირკვეს მახარებლის ვინაობის შესახებ“. პროფ. მიხეილ შენგელიას არგუმენტირებული განცხადება, რომელიც ცნობილი მკვლევარების ილია აბულაძის და კ. გრიგოლიას მოსახზრებათა იდენტიურია, სავსებით დადასტურდა. XV საუკუნიდან წინარეხის მოსახლეობაში, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, გამოირჩეოდნენ პრივილეგირებული გვარი მალაღაძეებისა რომელთა საგვარეულო ტაძრად ქცეულა XV საუკუნიდან წინამდებარე ნაგებობანი კედელზე არსებულ წარწერებში ხშირად იხსენიება სოლომონ მალაღაძე, რომელმაც 1716 წელს სამრეკლო მიაშენა და აღადგინა ეს ტაძარი. ნახსენებია აგრეთვე ნიკოლოზ მალაღაძე, რომელმაც 1777 წელს შეაკეთა ეს



მალაღანთ ტაძრის აფთაქის შენობაზე არქეოლოგიურა გათხრებს შედეგად აღმოჩენილი მეტალის მანა და ბრინჯაოს ელბი — „რაკუჩვი“. ფოტო ე. გიგლაშვილისა.

Металлические щипцы и бронзовая форма «ракушки», обнаруженные в результате археологических раскопок в здании аптеки Магалаант-храма. (фото Е. Гиглашвили).

ტაძარი ცნობილია, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იოანე მახარებელ-მალაღანეს ქადაგის თანამდებობა ეჭირა. აავე ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს კედელზე აწერია „ქ. მისმინე უფალო ნიკოლოზ მალაღანეს“ო. შემორჩენილია წარწერა „მდივანმნიგნობარ მალაღანე“. ტაძრის ძირითადი ნაგებობიდან 250-300 მეტრის მანძილზე საგანგებოდ შერჩეული ვაკე მინდორზე, არის სვანური კოშკის ტიპის ნაგებობა, რომელიც „სოლომონ მალაღანის კოშკის“ სახელითაა ცნობილი. იგი იშვიათი შინდისფერი ქვის ჩუქურთმებით არის დამშვენებული, რომლსაც ალბათ თავდაცვითი, სამხედრო ფუნქცია ენიჭებოდა, ვინაიდან გვერდით კედლებზე ხშირია ირიბი სათოფურები. კოშკი თავიდან ოთხსართულიანი ყოფილა, რომელიც 1679 წელს შეუკეთებია და აღუდგენია სახლთუხუცეს კათალიკოს პაპუა მალაღანეს და მის ვაჟს ნიკოლოზს. მალაღანეების ტაძარი თავიდან გალაგნის ტიპის კომპლექსური ნაგებობა ყოფილა, რომელსაც ორ პეტტარზე მეტი ფართობი ეჭირა კოშკის ირგვლივ ახლაც არის ქვითკირის კედლის ნანგრევები და ნაშთები. აქვეა ჩვენი წინაპართა ტურ-მარანი,



სადაც არაერთი ქვევრი აღირიცხება. კერამიკული მილებით, საიდუმლო ხერხლით ტაძრის ეზოში მთიდან წყალი შემოდის, რაც საერთოდ უცხო ხასიათებელია შუა საუკუნეების ტაძრებისათვის. ჩვენ აქ ვნახეთ სხვა ტაძრებისაგან მაინც განსხვავებული და საინტერესო დეტალები.

1942 წელს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბის“ XVI ბ ტომში, 195-ე გვერდზე წერს: „აღმოსავლეთის მხრივ გალავანს კიდევ ერთი კოშკის ნანგრევი ეკვრის, გალავნის გარეთაც, მთის კალთაზე, ჭინჭართა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილას ძლივსლა შესამჩნევი რაღაც ნაგებობის კვალი ჩანს“. ჩვენ სწორედ აქ „ძლივსლა შესამჩნევ ნანგრევებში“ აღმოვაჩინეთ ქართული ფარმაციის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი შენობა. ვარძიაში არსებული აფთიაქის მსგავსი, ნახევარ სარდაფის ტიპის პრეპარატების შესანახი საწყობი-აფთიაქი. მას 10 მ² ფართობი უკავია, თითოეულ კედელზე განლაგებულია 20 სმ-იანი მართხუთხა თახჩების 9 რიგი, სამთავე კედელზე 459 თახჩა აღირიცხება. ეს ნაგებობა საქართველოს ფარმაციის ისტორიისათვის და წამალთმცოდნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაგებობა გახლავთ, რომელიც გულდასმით შესწავლას მოითხოვს. ტაძრის ეზოში და სოლომონ მალალაძის სვანური ტიპის კოშკის მიდამოებში, დღემდე შემორჩენილია მრავალი სამკურნალო მცენარე, ასე მაგალითად: სააფთიაქო ტუხტი, კატაბალახა, ღვალო, ასკილი, შინდი, კონახური, კვიდო, მთის მოცხარი, თეთრი ნარი, ჭინჭარი და სხვა. აქვე ყოფილა სამედიცინო წურბლების მოსაშენებელი ტბა, რომელშიც წყალი საიდუმლო მილით ჩადიოდა. ძველთა დაცვის უწყების მესვეურების და არქეოლოგების აქტიური მონაწილეობით ნაპოვნი იქნა სამედიცინო დანიშნულების მეტალის მასა, პინცეტი, ანუ ძველი ქართულით მას ეწოდებოდა „ბორნკალი“. აქვე ნაპოვნია ბრინჯაოს ყალიბი, რომელიც 20 გრ-მდე სითხეს იტევს. საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ჩატარებული სპექტრალური ანალიზის შედეგი, რომელიც ნათელს ფენს საქართველოში ხელოვნების სიძველესაც. არქეოლოგიური გათხრა და ამ სათავსის სხვა დეტალების დადგენა კვლავ გრძელდება.

1 ბერიძემოძღვრული ძეგლის, მალალაძის ტაძრის შესწავლაზე შეხებადგინდა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამართველოს უფროსის მოადგილე გიორგი ინასარიძე. ამავე უწყების არქეოლოგები: ბაადურ მჭედლიშვილი, ნიკო თუშაბრამიშვილი, ფოტო-მხატვარი ედუარდ ვიცილაშვილი, ინჟინერი შოთა შერაბიშვილი, მხატვარი და ერაზმიკოსი ოთარ მუხიჯელი. ტელეოპერატორი ვივი მელქაძე. ისტორიკოსი ოთარ ტაბალა, სოფელ წინარების მცხოვრებნი, ძმები რობიზონ და ტრისტან უჭუჭიშვილები. შესწავლა მიმდინარეობდა 1979-81 წლებში.


 ანჩისხატის გულანის შუამკვეთი — კათალიკოსი ნიკოლოზ
 ამილახორი

გვიანი შუა საუკუნეების სასულიერო შინაარსის ხელნაწერთა შორის ყურადღებას იპყრობს დიდი ზომის ნუსხები, რომლებსაც ანდერძ-მინაწერებში გულანის სახელით მოიხსენიებენ. როგორც მიუთითებს კ. კეკელიძე, გულანი ყველა საღვთისმსახურო წიგნთა კრებულთაა. იგი ქართული ეკლესიის მიერაა შექმნილი და სხვაგან არ გვხვდება¹. დღემდე შემონახულია ამ სახის რამდენიმე დასურათებული ნუსხა. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ე. წ. ანჩისხატის გულანი (კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტ. A — 30 — 31 — 32), რომელიც გადაწერილია და მოხატული ნიკოლოზ ამილახორის შეკვეთით 1681 წელს.

ხელნაწერში 58 მინიატურაა. მათი ავტორები არიან მიქელა და საბა, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ტექსტის გადაწერაშიც. ამ ორი მხატვრის შემოქმედება, შესრულების მანერისა და ოსტატობის დონის მხრივ, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათ ილუსტრაციებს სტილისტურად უკავშირდება მონუმენტური მხატვრობის ძეგლებისა და მინიატურების ორი ჯგუფი, რომელიც შესრულებულია ქართლში XVII ს-ის მეორე ნახევარში. ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ სიახლოვესთან ერთად ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ჯგუფების ოსტატები (მათ შორის მიქელაც და საბაც) განეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სამხატვრო სახელოსნოებს, რაც საყურადღებოა იმ პერიოდის ქართული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით².

დიდ ინტერესს იწვევს ხელნაწერის მომგებელი — კათალიკოსი ნიკოლოზ იოთამის-ძე ამილახორი. იგი XVII ს-ის 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. ნიკოლოზი ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა იმ დასს, რომლის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაწინაურება. ამდენად, მისი საქმიანობის განხილვა, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ქართლის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე იმ პერიოდში, როდესაც შეიქმნა ზემოხსენებული გულანის მინიატურები.

ნიკოლოზის მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სხვადასხვა მკვლევარს (პ. კარბელაშვილი, ბ. ლომინაძე, გ. ჯანდიერი, შ. ამირანაშვილი), რაც საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებთან ერთად გვაწვდის საინტერესო მასალას.

უპირველეს ყოვლისა გავეცნოთ ბიოგრაფიულ ცნობებს. ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში ნიკოლოზის სახელს პირველად ვხვდებით 1655 წლის ერთ გუჯარში, სადაც მოხსენებული არიან აგრეთვე მისი ძმებიც — ანდუყაფარი, გივი (ზემო ქართლის სარდალია 1656-1696 წწ), დემეტრე, ბარძამ და პაატა³. 70-იანი წლების შუა ხანებში ნიკოლოზი განაგებს რუსთავის საეპისკოპოსო კათედრას⁴, ხოლო 1678 წელს, სპარსეთიდან დაბრუნებული გიორგი XI უბოძებს მას კათალიკოსობას (ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII-XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართვე-



ლოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1951, ნაკვ. 29, გვ. 68). ამიერიდან მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია გიორგი XI, რომელიც სათავეში დასაყდრდა გას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას XVII ს-ის 80-იან წლებში. 1688 წელს სპარსეთის შაჰის ხელისშეწყობით, ქართლის ტახტზე გამეფდა სპარსოფილური ორიენტაციის მქონე ერეკლე I (ნაზარალი-ხანი), რომელმაც გადააყენა ნიკოლოზი როგორც მეფის ერთგული მოკავშირე, ხოლო მის ნაცვლად კათალიკოსად ეკურთხა იოანე დასამიძე (ბ.ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე). 1691 წლიდან, ქართლში გიორგი XI დაბრუნების შემდეგ, იწყება ნიკოლოზის კათალიკოსობის მეორე პერიოდი, რომელიც გრძელდება 1696 წლამდე (იქვე, გვ. 69). XVIII ს-ის დასაწყისში, ქართლის ჯანიშინად დანიშნულმა ვახტანგმა საკათალიკოსო კათედრაზე ისევ ნიკოლოზის კანდიდატურა წამოაყენა. ეს ფაქტი მოწმობს თუ რა დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული ნიკოლოზს ვახტანგ შაჰნავაზის შვილთა კარზე. მაგრამ ამ დროისათვის, მას გასჩენია ძლიერი მონინაალმდეგები... ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი..” რომელთაც „არღარა ინებეს ნიკოლაოზ, რამეთუ არს სოფლიერი...“ ნიკოლოზი გარდაიცვალა 1704 წელს. პ. კარბელაშვილის ცნობის თანახმად, იგი დამარხულია სვეტიცხოველში „საკურთხევის ჩრდილოეთად ეკედერში შესავლის მარცხნივ“ (პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელმთავარი, ტფ., 1900, გვ. 129).

როგორც ზემოთხსენილი ცნობებიდან ჩანს, ნიკოლოზი ძალიან დაზარალდა სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავების შედეგად. იგი ორჯერ იქნა გადაყენებული საკათალიკოსო კათედრიდან, ხოლო 1691-1696 წლებში მას მოღვაწეობა უხდებოდა მეტად რთულ პირობებში. ქართლში დამყარდა ორი ხელისუფლება („ორიანობა“), რაც უთუოდ ძალიან შეზღუდავდა მის საქმიანობას. სულ სხვა ვითარება იყო შექმნილი 1678-1688 წწ. ამ დროს ქართლს ერთპიროვნულად მართავდა გიორგი XI. მშვიდობიანი ცხოვრების 10 წელი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სწორედ ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა ნიკოლოზის საქმიანობა. მის შესახებ მსჯელობის საშუალებას გვაძლევს ორი დოკუმენტი (1687 წ., 1688 წ.), სადაც დაწერილებით არის აღწერილი ყოველივე ის, რაც განხორციელდა ნიკოლოზის კათალიკოსობის პირველ პერიოდში (ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. IV, თბ, 1913, გვ. 64-67; თ. ჟორდანი, ქრონიკები, წ. II, ტფ. 1897, გვ. 506). მოცემული ცნობები წარმოგვიქვენს მრავალმხრივი მოღვაწეობის სურათს, რომელიც გარკვევით გამოხატავს იმ ეპოქის მონინავე მისწრაფებებს.

საინტერესოა ამ მხრივ სამეურნეო ცხოვრების გაჩაღების მიზნით დანგრეული სოფლების აღდგენა-მოშენება. ასეთებია სხერტა, ახალშენი, ბადანი და სხვ. (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66). აქვე უნდა აღინიშნოს ნიკოლოზის მეოხებით ქართლის სხვადასხვა სოფლებში ბალების, ზვრების, მარან-სანახლების გაშენება (იქვე). ეს ხელს უწყობდა მევენახეობა-მელვინეობისა და მებაღეობის განვითარებას, რაც თავის მხრივ დიდ როლს ასრულებდა ქართლის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში. საყურადღებოა აგრეთვე მტკვარზე ხიდის აგება და ძეგვში ქარვასლის განახლება (იქვე,



გვ. 65, 67). ამ სახის მშენებლობა მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს შორის სავაჭრო და სამეურნეო ურთიერთობათა განმტკიცების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ასეთი საქმიანობა დამახასიათებელი მოვლენაა იმ ეპოქაში, რამაც განაპირობა ქართლის ეკონომიკური და-წინაურება XVII-XVIII ს-თა მიჯნაზე.

ამასთანავე ნიკოლოზი ზრუნავდა მცხეთის კათედრალური ტაძრის გაძლიერებაზეც. შემონახული ცნობების თანახმად, მან შემოსწირა სვეტიცხოველს რამდენიმე სოფელი (წალული, უწლვეი და ლოღეთი), დაუბრუნა და ხელახლა დაასახლა გაქცეულ გლეხთა 60-მდე კომლი (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.66).

არსებული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ნიკოლოზი მონაწილეობას იღებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ საყურადღებოა ორი წერილი. ერთი ეკუთვნის რუსეთის მეფეს თევდორე ალექსის ძეს⁹, ხოლო მეორე — რუსეთის პატრიარქს იოაკიმეს¹⁰. ორივე წერილიდან გარკვევით ჩანს, რომ ნიკოლოზი დიდ იმედებს ამყარებდა ერთმონაწილე ქვეყნის დახმარებაზე. ეს კი მოგვანიშნებს, რომ იგი აქტიურად უჭერდა მხარს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება-განმტკიცებას, კერძოდ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დამყარებას, რომელსაც იმდროინდელი საზოგადოების მონაწილე ნაწილი განიხილავდა როგორც სამშობლოს „აღდგომა-გამოხსნის“ ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

შემონახული ცნობების დანარჩენი ნაწილი ეხება ნიკოლოზის ინიციატივით საკულტო და საერო ნაგებობათა მშენებლობას, აღდგენითი ხასიათის სამუშაოების ჩატარებას, ხელნაწერთა გადაწერა-დასურათებას და სხვ. ყურადღებას იპყრობს განხორციელებულ სამუშაოთა დიდი მოცულობა.

როგორც ირკვევა, ნიკოლოზი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკლესიათა მშენებლობაში. მცხეთის სიგელში მოხსენიებულია ოთხი საყდარი, რომლებიც მისი თაოსნობით აღუმართავთ კოჯორში, ძეგვში, სალხინოსა და აშენდაში (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66).

ნიკოლოზი ეწეოდა სასახლეების აღდგენა-მშენებლობასაც. 1687 წლის სიგელში ვხვდებით შემდეგნაირ ცნობას: „მცხეთას გალავანს გარეთ ქუჩტიკირის სასახლე ავაშენე კარითა და ფანჯრით მოვრთე და გავალესვინე“ — აღნიშნავს ნიკოლოზი (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65). სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დღემდე შემონახულია ძველი სასახლის ნანგრევები, რომლის აგების დრო განისაზღვრება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებობას ემჩნევა გვიანდელი გადაკეთების კვალიც. მკვლევარი ვ. ცინცაძე თვლის, რომ ზემოხსენებული ცნობა სწორედ ამ სასახლის მშენებლობას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში, ნიკოლოზს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდა ძველი ნაგებობის აღდგენა-შეკეთება, რომელიც მას განუხორციელებია XVI ს-ის 80-იან წლებში (1687 წლამდე). ამას გარდა, ნიკოლოზი მოიხსენიებს კიდევ სამ სასახლეს, რომლებიც მისი თაოსნობით აუგიათ თბილისში, სალხინოსა და კოჯორში (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66).



ნიკოლოზი დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა ძველი ტაძრების გარემონტებას. მისი მეოხებით განახლებულია განვითარებული შუა საუკუნეების სამი მნიშვნელოვანი ძეგლი. ერთი მათგანი მეტეხის ეკლესიაა (კასპის რ-ნი, იხ. ს. კაკაბაძე, იქვე). იგი საფუძვლიანად არის შეკეთებული გვიან ხანაში. რემონტის ერთი ფენა, როგორც ამას ვარაუდობს მკვლევარი ი. გომელაური, განეკუთვნება XVII ს.

ნიკოლოზის თაოსნობით შეკეთებულია და მოხატული აგრეთვე ანჩისხატის ტაძარი თბილისში. ამას უნდა მიუთითებდეს სიგელის ერთი ადგილი, სადაც აღნიშნულია: „ქალაქს საყდარი ლორფინით გარდაესქედე და შიგნით გაელესე და დავახატიენე“ (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 65). ტაძრის საკურთხეველსა და შუბლზე დღემდე შემონახულია ძველი მხატვრობის ფრაგმენტები, რომელთა შესრულების დროს განსაზღვრავენ სხვადასხვანაირად, 1680 ან 1683 წ.წ.¹⁰.

განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ნიკოლოზის საქმიანობას სვეტიცხოვლის ტაძარში. მან შეაკეთა ტაძრის დაზიანებული ნაწილები: გამოიკვალა ხუთი „სამხრო“ და აღადგინა სამხრეთის კედელი (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 65). რემონტი დასრულდა 1685 წელს, რასაც გვაუწყებს სამხრეთის ფასადზე შემონახული მხედრული წარწერა (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 504).

ნიკოლოზის ინიციატივით მოხატეს აგრეთვე ტაძრის ინტერიერის ნაწილი. „სამირონისა და სვეტის პირდაპირ ჩრდილოეთის კერძ დავახატიენეთ“ — შენიშნავს იგი (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65). ამ ცნობიდან ჩანს, რომ მან მოახატინა ტაძრის ცენტრალური ნაწილს ჩრდილო კედელი, რომელიც სწორედ „სვეტის“ საპირისპირო მხარეს მდებარეობს¹¹.

ნიკოლოზის თაოსნობით მოიხატა აგრეთვე მცხეთის ტაძრის სვეტიცხოველი. მხატვრობის ავტორია გრიგოლ გულჯავარასშვილი¹².

გარდა ამისა ნიკოლოზმა შემოსწირა ტაძარს დიდი რაოდენობით ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭული, თვალმარგალიტით მოჭედილი გვირგვინი და სხვ. მისივე შეკვეთით შეუკურიათ აგრეთვე ერთი წყვილი მურასა საბუჯარი, პერექლები, მაზარა მარგალიტის ტარფებით და ოქრომკედის დინარით, ავთანაგის ხავერდის ბისონი. ამასთანავე, ნიკოლოზმა მოაჭედინა და მურასად გააკეთებინა წინსაძლოლი ჯვარი „თავიდ ბოლომდი ოქროსი“ (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65-67)¹³.

ნიკოლოზი იძლევა საინტერესო ცნობებს მის მიერ ტაძრისთვის შეწირულ ხელნაწერთა თაობაზე (ს. კაკაბაძე იქვე, გვ. 65, 67). დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ორი ხელნაწერი: ზემოხსენებული გულანის და ღვთისმშობლის დაუჯდომელი (ხელნ. ინსტ.—98). ეს უკანასკნელი გადაწერილია და დასურათებული მიქელას ხელით 1681 წელს (ამავე ოსტატმა შეასრულა გულანის მინიატურათა ერთი ჯგუფიც)¹⁴.

კარბელაშვილის აზრით ეს წიგნები გადაწერილი იყო სვეტიცხოველში. ნიკოლოზმა „შეჰკრიბა გაფანტულნი ხელნაწერნი ერთად და შეადგინა დიდი წიგნთსაცავი სვეტიცხოვლის ტაძარში. მოუყარა თავი საუკეთესო მხატვართ და წიგნთა გადამწერ კაცებს და აწერინებდა მხატვრობიან საეკლესიო წიგნებსა“ — აღნიშნავს მკვლევარი (პ. კარბელაშვილი, იერარქია... გვ. 128).



როგორც ცნობილია, სვეტიცხოველი წარმოადგენს ქართული მწერლობის უძველეს კერას. „ძირითადად სვეტიცხოველთანაა დაკავშირებული ის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მცხეთაში იყო გაჩაღებული“ — წერს ლ. მენაბდე¹⁵. ტაძარს ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდრდებოდა არა მარტო უხვი შეწირულების ხარჯზე, არამედ ადგილზე გადაწერილი წიგნებითაც¹⁶. მაშასადამე, ნიკოლოზის მიერ შეკვეთილ ხელნაწერთა გადაწერაც, როგორც ჩანს, მიმდინარეობდა სვეტიცხოველში. ანგარიშგასაწვევია მხოლოდ ის, რომ ბიბლიოთეკა ძველთაგანვე არსებობდა ტაძარში და, ამდენად, ნიკოლოზს არავითარი წვლილი არ მიუძღვის მის შექმნაში. არსებული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მან მხოლოდ ხელი შეუწყო მის გამდიდრებას. ამავე ბიბლიოთეკასთან უნდა იყოს დაკავშირებული კიდევ ერთი ცნობა, რომელიც გვაუწყებს ნიკოლოზის თაოსნობით ხელნაწერთა რესტავრაციის ფაქტს: „ძველს წიგნებს რა გაახლება, ჩამატება და შეკურა უნდოდა ყუელა გავაკეთებინე და თვით თვისა შიგან სწერია“ — აღნიშნავს იგი (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67). აქედან ჩანს, რომ ნიკოლოზმა არა მარტო გადაიდა ტაძარში დაცულ წიგნთა რაოდენობა, არამედ იზრუნა ხელნაწერთა შეკეთება-განახლებაზეც. საფიქრებელია, რომ შესასრულებელ სამუშაოთა დიდი მოცულობა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელმაც განაპირობა სხვადასხვა სახელოსნოებში გაერთიანებულ ოსტატთა მონვევის აუცილებლობა (ამას მიგვანიშნებს მიქელასა და საბას ურთიერთთანამშრომლობა ანჩისხატის გულანში).

ზემომოყვანილი ცნობები გვიჩვენებს გაცხოველებული კულტურული საქმიანობის სურათს. ნიკოლოზი წარმოგვიდგება როგორც ხელოვნების ქემშარიტი მოამაგე და მეცენატი, ხოლო ეს კი დამახასიათებელი მოვლენა იმ ეპოქაში¹⁷. მან დიდი როლი შეასრულა ქართლის სულიერი ცხოვრების აღორძინებაში, რასაც თავის მხრივ ნიადაგი მოუმზადა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებამ XVII ს-ის მეორე ნახევარში.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. „ძნელბედობის“ ხანაში მეტად მწვავედ იდგა სარწმუნოების შენარჩუნების საკითხი. იგი გადახლართული იყო ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და არსებობის შენარჩუნებასთან. XVII-XVIII ს-თა მიჯნაზე ქართლში ფართოდ გაჩაღდა ანტი-მაჰმადიანური პროპაგანდა, რომელსაც მხარს უჭერდა საზოგადოების ყველა მოწინავე წარმომადგენელი. მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ ნიკოლოზის საქმიანობა (ტაძრების გამშვენიება-შეკეთება, საყდრების მშენებლობა და სხვ.) მაჰმადიანობის მომძლავრების ხანაში როდესაც ბევრ ქართველს ხელი ჰქონდა აღებული მამა-პაპურ რჯულზე, იგი მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ქრისტიანობის გაძლიერებისა და მორწმუნეთა შემომტკიცებისათვის¹⁸.

ამგვარად, როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, ნიკოლოზი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეა. ყოველივე ზემოთქმული ახასიათებს მას როგორც მებრძოლი სულისკვეთებისა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნებას. „ვითარცა კორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგ-



რთვე სარწმუნოებად თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობი, 222-229) - ამბობს იაკობ მოციქული და ნიკოლოზსაც, როგორც ჩანს, ასეთნაირად ესმის თავის მოვალეობა. იგი აქტიური მოქმედების კაცია. ხოლო იმ ეპოქაში მხოლოდ ასეთ პიროვნებებს შეეძლოთ რეალური სარგებლობის მოტანა. ნიკოლოზმა დიდი ამაგი დასდო ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, და კულტურულ წინსვლას, ქრისტიანობის აღდგენას. მისი მოღვაწეობა გულმხურვალე მამულიშვილობის მაგალითია.

1. კ. ავალიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 556.
2. Ф. Девдариани, Связь илюстраций Ачхсхатского Гулаши с памятниками монументальной и миниатюрной живописи второй половины XVII века, Совм. конф. повс. вопр. армян и груз. иск., Тб., 1979, с. 17-18.
3. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары (материалы для пятого археологического съезда), Тифлис, 1881, с. 98.
4. გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, მრავალთვი, თბ., 1971, გვ. 343.
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 481. 6. იქვე.
7. ამ შითითების მიხედვით, ნიკოლოზის საფლავის მდებარეობის დადგენა არ მოხერხდა.
8. М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российским государством, С.-П., 1861, с. 92-94.
წერილი დათარიღებულია 1676 წლის 6 თებერვლით (იხ. М. Броссе, დასახ. ნაშრომი, გვ. 92), თვით ნიკოლოზი კი მიუთითებს, რომ იგი დაიწერა „პირველი ინდიქტიონის 30 ივნისს“ (იქვე, გვ. 93). როგორც ცნობილია, ინდიქტიონი ნიშნავს 15 წლიან პერიოდსაც და წელსაც ამ თუ იმ მეფის ტახტზე ასვლიდან“ (იხ. ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები, მიუთითებანი ჰედ. ინსტიტუტის, სწავლების ისტ. ფაკულტ. სტუდენტ. შემდგენელი გ. მკვდიძე, თბ., 1978, გვ. 77). ასეთ შემთხვევაში, წერილის დაწერის თარიღი უნდა იყოს 1678 წელი, რადგან ეს არის გიორგი XI გამეფების პირველი წელი (ჟ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკის ისტორია (XIV-XVII სს), XIV-VXIII სს, რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1961, გვ. 111-112) და აგრეთვე, ახალი ინდიქტიონის დასაწყისიც (ინდიქტიონის გამოთვლის შესახებ იხ. ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები, გვ. 78). 9. იქვე, გვ. 126-129.
10. პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ტფ., 1902, გვ. 25; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 426.
11. ნ. ტოლმაჟესკიას აზრით, მხატვრობა შესრულებულია XVI ს-ში (Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тифлис, 1931). ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება როგორც ზემოაღნიშნული ცნობა, ასევე მოხატულობის სტილისტური ნიშნებიც (მღერაც ფერები, შესრულების მშრალი და გრაფიკული მანერა).
12. ვ. ბერიძე, მცხეთის ყთვედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველო, სახელმწ. მუზეუმის მოამბე XV-B, თბ., 1948 გვ. 135-164.
13. საყენებით შესაძლებელია, რომ ეს ნიუთები (მღვდელმსახურთა ტანსაცმლის ნაწილები, უედერი ჯვარი და სხვ.) აქვე, სვეტიცხოველში იყო დამზადებული. მაგრამ დამადასტურებელი მასალების უქონლობის გამო ამის გადამწვევით თქმა არ შეეკიძლია.
14. Р. Шмерлинг, Образцы декоративного убранства грузинских рукописей, Тб., 1940, с. 69.
15. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კვრები, ტ. 1, თბ., 1961, გვ. 196. 16. იქვე, გვ. 202-203.
17. ნავოფიერი კტიტორები არიან გიორგი XI, მისი მამა არჩილი, იოსებ თბილელი და სხვ. ლ. მენაბდე, იქვე, გვ. 152-153, 156-157.
18. ნიშანდობლივი იყო „ქართლის მოქცევის“ ციკლის შესრულება, „სვეტის“ მოხატულობაში. აქ მოცემულ სცენებში (წმ. ნინოს სასწაულები და სხვ.) ძლიერად ელერს ქრისტეს მოიღვრების ძლევაშისილების იდეა. მთელი ციკლი თვალნათლვ უჩვენებს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კანონზომიერებას, რაც შეტად აქტუალურია იმ დროს.



წმ. კვირიკეს ეკლესია.
დასავლეთის ზედი.
ფოტო თ. თომაძის

Церковь св. Квирикe. Зап. фасад
Фото Т. Томадзе.

ნიმუ თომაძე

ყველა ძეგლს მოფრთხილება უნდა

საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოუკიდებულების ლენინური პრინციპებით, ყველა პირობას ქმნის კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის, ძეგლების დაცვისა და ეფექტური გამოყენებისათვის.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები ასახავენ წინა თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ხალხის მასების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მატერიალური კულტურის ძეგლების აღმშენებლობის განვითარება თავისებური მატრიანეა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის ნაყოფისა, მისი ისტორიის ხელშესახები მატერიალური დოკუმენტია, რომელიც ნათლად გადმოქვეყნებს როგორც მის სანყისს, აგრეთვე მალაღ დონეზე განვითარებას და დაცემის ხანასაც, რაც მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ ისტორიასთან. იგი მაჩვენებელია იმისა რომ ყველაზე ავბედით პერიოდშიც კი არ ქრებოდა ჩვენში შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საქმე. ამიტომაც იმ პატარა ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს თუ საერო საყოფაცხოვრებო ნაგებობებს, რომლებიც იქმნებოდა ჩვენი



წმ. კვირიკეს ეკლესია.
ხედი ჩრდ. დასავლეთიდან.
ფოტო თ. თომაძის

Церковь св. Квирикe. Зап. Зап.
фасад. (фото Т. Томадзе).

წმ. კვირიკეს ეკლესია
აღმოსავლეთის ფასადი
ფოტო თ. თომაძის

Церковь св. Квирикe. Восточ. фа-
сад. (фото Т. Томадзе)





ისტორიის მიმღე დღეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათი მოვლა-პატრონობა აუცილებელია, რაც საშუალებას მისცემს მომდევნო თაობებს წარსულს შეისწავლონ. მოიხსენიებოდა თუ რა ჭირ-ვარამი გადაიტანეს ჩვენმა წინაპრებმა, არც პოლიტიკურ ქარცეცხლში არც ეკონომიური დაცემის დღეებში, მათ ქედი არ მოუდრეკიათ და მაინც თავის სიტყვას ამბობდნენ შესაძლებლობისდა მიხედვით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კანონში ნათქვამია: „სსრ კავშირში ძეგლები ემსახურებიან მეცნიერების, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძობების ჩამოყალიბების, მშრომელთა იდეურ ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნებს.

ძეგლების დაცვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა გაუფრთხილდეს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

სამწუხაროდ ყოველთვის როდი ესმოდათ ასე, რყო შემთხვევები როცა მატერიალური კულტურის ძეგლები უდარდელი დამოკიდებულებისა და მოუფრთხილებლობის გამო ნადგურდებოდა, არ ხერხდებოდა მათი შესაფერისად, გონივრულად გამოყენება. ასე მოხდა ორჯონიკიძის (ხარაგაულ-ის) რაიონის სოფელ დეისში. ეს სოფელი ზემო იმერეთის ერთ-ერთი უძველესი და კოპანია სოფელია. ისე როგორც იმერეთის, დეისის მიწა-წყალზეც არა ერთმა ქარიშხალმა გადაიარა და არა ერთი საინტერესო ძეგლი წაიღე-კა ისტორიული ჟამთა სიავის გამო. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დანყარდა ქვეყანა, მხოლოდ ამის შემდეგ მოიშუშა წყლები ამ სოფელმაც და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. მოგვიანებით XIX ს. აქ წამოიშართა წმინდა კვირიკეს სახელობის სასოფლო ეკლესია, რომელიც თავისი მოცულობით საკმაოდ შთამბეჭდავი, ხოლო არქიტექტურული თვალსაზრისით იგი ძუნწი სამშენისებითაა აგებული—ჭალის თლილი ქვით, რომელიც გვიანდელი ქართველი ოსტატების საინტერესო ნახელავს წარმოადგენს.

სამწუხაროდ რამოდენიმე ათეული წლის წინათ სოფლის იმდროინდელი თავკაცების გულგრილი დამოკიდებულების წყალობით იგი საკმაოდ დაზიანდა, გადახადეს სახურავი, მოანგრის სამრეკლო, ნაწილი პერანგის ქვებისა შემოძარცვეს და სხვა მშენებლობისათვის გამოიყენეს. ახლა დამნაშავეების ძიება უკვე გვიანია.

უკანასკნელ წლებში როდესაც ასე დიდი ყურადღება მიექცა ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლინებას, დაცვას, რესტავრაციასა და პროპაგანდას, ძეგლების გონივრულად გამოყენების საქმეს, დეისელებს სურთ მიხედონ ამ არც თუ ისე ძველს, მაგრამ მაინც საინტერესო ძეგლს და აღადგინონ იგი. მათ სურთ შეფოხა გაუწიონ დეისის წმინდა კვირიკეს ეკლესიას და შრომითი წვლილი შეიტანონ მისი აღდგენის საქმეში, თუ, რა თქმა უნდა სათანადო ზემდგომი ორგანოები მხარს დაუჭერენ ამ საინტერესო ნამოწყებას. დეისის მატერიალური კულტურის ძეგლის ისტორია კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ყველა დროის ძეგლს მოფრთხილება, დაცვა და გონივრული გამოყენება სჭირდება.

ქაბლაგის ნამდვილი მეგობარი



არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც თავის საქმეს დინჯად და უხმაუროდ აკეთებენ და ასევე ჩუმად ეხმარებიან ისინი სხვებსაც.

ასეთ ადამიანებს ეკუთვნის ბ-ნი ნიკო სხირტლაძე, გეოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

უკვე დიდი ხანია რაც ბ-ნი ნიკო დიდ დახმარებას უწევს არქიტექტორ-რესტავრატორებს აღსადგენი ძეგლებისათვის საამშენებლო ქვების შერჩევაში და მოპოებაში. როგორც გეოლოგიის ამ დარგის უბადლო მცოდნე ის ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ძეგლთა რესტავრაციას.

რა დაკავებული ან დაღლილი არ უნდა იყოს ბ-ნი ნიკო, მას არასოდეს უთქვამს უარი ჩვენთვის. მას არასოდეს არ გადაუბარებია ეს საქმე სხვისთვის და არ გადაუდია ის გრძელი ვადით. დარში თუ ავდარში, სრულიად უანგაროდ, ბ-ნი ნიკო ეძებს ძეგლებისათვის შესაფერის ქვებს; ანჩისხატის და თბილისის სიონის, ხცისის ეკლესიისა და ვარძიის სამრეკლოს, უჯარმისა და რუსთავის ციხეების და მრავალი სხვა ძეგლისათვის შეურჩევია მას ქვის კარიერები.

მზადყოფნა, რომლითაც ის მუდამ ცდილობს დაგვეხმაროს, იმდენად დიდია, რომ ხშირად არც გრძნობ თუ რაოდენ ჯაფას ხარჯავს ეს ისედაც მრავალი საქმით გადატვირთული ადამიანი და შეიძლება მეტისმეტად ადვილად კიდევ და კიდევ აწუხებ მას.

რომ არსებობდეს წოდება „ძეგლის ნამდვილი მეგობარი“ ბ-ნი ნიკო სხირტლაძეს ერთ-ერთ პირველთაგანს უნდა მიეღო იგი.

რუსუდან გვირდნითელი.



ლევან ნიშვიშვილის ხსოვნას

სამწევრისას, წირქოლის, თიანეთის სიონის, ტუოზაერდის, ბედიის, ვარძიის, სხალთის გონივრულად რესტავრირებული ძეგლები... წრომისა და ვაჩნაძიანის არქიტექტურის რესტავრაციის პროექტები ნათელი ხსოვნით მოგვაგონებს გამოჩენილ რესტავრატორს.

ლევან ნიშვიშვილის მიერ შემუშავებული არქიტექტურის ძეგლის აღდგენის პრინციპი, უეჭველია საფუძვლად დაედება, ჭერ კიდევ დიდად დაზიანებულ ხუროთმოძღვრულ საუნჯეს.

ლ. ნიშვიშვილი წარმოშობით არაგვისპირელი იყო. დაიბადა 1920 წელს. სრულიად ახალგაზრდა ჩაება სამამულო ომში და მტკიცედ იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს. 1945 წლიდან სკკპ წევრი ხდება. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.

ქართული ხუროთმოძღვრებით მოხიბლულმა კაბუკმა იმთავითვე დაუკავშირა შეგნებული ცხოვრება ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვა-აღდგენას. ლევან ნიშვიშვილის დიდ შრომისმოყვარეობას, ძეგლის აღქმის აღლოს უურადდება მიაპურო აკადემიკოსმა სევეროვმა და ახალგაზრდა სპეციალისტი გატა-



ცებით იწყებს მუშაობას, არქიტექტურის თეორიისა და პრაქტიკის მიმართული ნიშნავ მცოდნესთან.

ლ. ხიმშიაშვილიმა საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო — რიგითი არქიტექტორ-რესტავრატორიდან ჯერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტექტურის სამმართველოს საპეციალურ სამეცნიერო სა-რესტავრაციო სახელოსნოს მთ. არქიტექტორის, შემდეგ კი ამავე სახელოსნოს დირექტორის თანამდებობამდე. არქიტექტორ-რესტავრატორი რესტავრაციის დიდ აღდგომასთან ერთად ორგანიზატორის კარგი უნარით იყო დაჯილდოებული. ეს გამჟღავნდა კიდევ ძველთა დაცვა-აღდგენის არაერთი პრობლემური საკითხის გადაწყვეტისას. რიგმა პრობლემების გადაწყვეტამ ლ. ხიმშიაშვილს არქიტექტორის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის აკად. გ. ჩუბინაშვილის პრინციპულად მაღალი შეფასება ლ. ხიმშიაშვილის მიერ აღდგენილი ძეგლების და რიგ სპეციალისტთა აზრი სამწვერისისა და სხვა ძეგლების აღდგენის შესახებ.

ლ. ხიმშიაშვილის შრომითი გზა დაუფასებელია, იგი იყო დაზიანებული ძეგლის ხუროც და ხუროთმოძღვარიც. თვითვე ძერწავდა ძეგლს ნატურაში. თვითვე იყო ძეგლის ქირურგიც. რესტავრატორი ყოველთვის მომხრე იყო საღი პოლემიკის თუ კი მას სასურველი შედეგი მოჰყვებოდა და ძეგლის ინტერესს ეხებოდა. აღსანიშნავია ლ. ხიმშიაშვილის მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული გრაფიკული მასალა, რომელიც უკვე ძვირფას საარქივო დოკუმენტად იქცა. პერსპექტივისა და ჩრდილთა თეორიის ღრმა ცოდნა არაერთი დამწვები სპეციალისტისათვის იყო მისაბამი მაგალითი.

1954 წლიდან ლ. ხიმშიაშვილი სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზეა, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე, ჯერ პედაგოგად, შემდეგ კი დეკანად. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის არქიტექტორ-რესტავრატორთა და ლანდშაფტის არქიტექტურის ახალგაზრდა კადრების მომზადებაში.

ლ. ხიმშიაშვილის ღვაწლი ჩადებული იყო ახალგაზრდა რესტავრატორთა ყველა საკონკურსო პროექტში, რომელთაც უკლებლივ ყველას გამარჯვება უზეიმია. სტუდენტებთან და განსაკუთრებით მომავალ არქიტექტორ-რესტავრატორებთან მომთხოვნი იყო, როგორც კამერალური მუშაობისას, აგრეთვე ექსპედიციებში. მის ყოფილ სტუდენტებს არაერთხელ მოაგონდებათ მომლბენი და მუხლჩაუდგომელი შრომისმოყვარე ადამიანის — ბატონი ლევანის ექსპედიციებში მონაწილეობა: ტუობაერდში, ბოქორმაში, თბილისის ძველ უბნებში და წრომში, ტიმოთის უბანში, სვანეთში და სხვ. თვითონ მოიკლებდა და სხვას უწილადებდა ექსპედიციის ტბილ ლუკმას.

ლ. მ. ხიმშიაშვილი იყო სპეტაკი, უანგარო ადამიანი. არაჩვეულებრივი შრომისმოყვარე, შინაგანი დისციპლინის და წესრიგის კაცი. მისი მოწაფეები, კოლეგები, მეგობრები, სამხატვრო აკადემიის და ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრები წმინდად შეინახავენ არქიტექტორ-რესტავრატორის და საზოგადო მოღვაწის სახელს.



О СОСТОЯНИИ ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ ГРУЗИИ

В последние годы в результате повседневной заботы Центрального Комитета Компартии Грузии и правительства республики делу охраны памятников культуры придано большое государственное значение, создано Главное управление по охране памятников истории, культуры и природы, невиданный масштаб приняло дело выявления, охраны, реставрации и

регенерации памятников, особенно возросло значение охраны памятников культуры в деле патриотического, интернационального и эстетического воспитания населения.

Главная задача Общества охраны памятников — более широко и творчески развернуть свою работу, целенаправленно исследовать духовные и материальные ценности народа.

И. АДАМИЯ

АРХИТЕКТУРА МОНАСТЫРСКОГО КОМПЛЕКСА ЭКИ

Продолжается публикация статьи И. Адамия «Архитектура монастырского комплекса Эки», где автор дает деталь-

ный анализ малозвестного памятника, расположенного в селе Эки (Цхакаевский район).

В. ДЖОРБЕНАДЗЕ

МОНАСТЫРСКИЙ КОМПЛЕКС СЕЛЕНИЯ СИОНТГОРИ

В юго-западной части долины Эрцо (Тианетский район), около села Сионтгори, на возвышенности находится монастырский комплекс, состоящий из двух церквей, башни, «марани» («винохранилище») и развалин жилого помещения.

В письменных источниках и некоторых исследованиях этот монастырь упоминается под названиями Надокра, Накорна, Ноткора и др.

Первая церковь — зального типа. Она облицована квадратами травертина. Внутри церкви — разрушенное погребение, которое считают могилкой грузинского царя VIII века Арчила II (719—745 гг.), замученного арабами. Согласно письменным источникам и по сохранившимся в долине Эрцо устным преданиям, ему приписывают постройку этой церкви.

Вторая церковь, от которой остались лишь развалины, стояла к северо-востоку от первой церкви.

Прямоугольная башня была возведена в позднем средневековье. Ее западная стена примыкает к восточной стене первой церкви, а северная — ко второй церкви.

К северу от этих церквей расположен «марани», состоящий из двух помещений. Первое — с восточной стороны, представляет собой винодавилюю. Отсюда вход в большое куполообразное помещение — винохранилище. В «марани» сохранилось восемь винных сосудов.

В архитектуре «марани», а также башни прослеживаются типичные для позднесредневекового периода черты, особенно характерные для сооружений Картли и Кахети в XVII—XVIII веках.

От жилого комплекса, который находится к юго-западу от первой церкви сохранились фундамент и остатки дымохода камина.

Монастырский комплекс селения Сионтгори возник на трассе древних до-



рог, которые соединяли Арагское ущелье с Иорским ущельем и Алазанской долиной.

Г. ЧАНИШВИЛИ

**О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ПО
ОХРАНЕ ПАМЯТНИКОВ**

В начале 1980 года, съемочной группой киностудии «Грузия фильм», с доброжелательной по своему целию, из разных районов Южной Грузии, были привезены в Тбилиси образцы хозяйственно-бытовых предметов, культовых изваяний и фрагментов архитектурных памятников. Эти образцы ныне выставлены во дворе студии...

Камни имеют художественно-эстетическое значение и также интересны для истории материальной культуры Грузии. Орнаментированные фрагменты повидному, составляют отдельные части декора Ацкурского кафедрала и датируются XI — XIII веками.

М. ЛОЖКИН

**СРЕДНЕВЕКОВЫЕ ПАМЯТНИКИ
ГРУЗИНСКОЙ АРХИТЕКТУРЫ В
КРАСНОДАРСКОМ КРАЕ**

На открытом раннесредневековом Ильичевском городище XI-XIII вв. в шестидесятые годы нашего века обнаружены раскопками экспедицией Краснодарского пед. института (под руководством Н. В. Анфимова) остатки фундаментов и стен пяти христианских церквей грузинского стиля.

Городище расположено в окрестностях хутора Ильич Отраденского района, Краснодарского края. Оно представляло собой укрепления комплекса поселений. При раскопках были обнаружены руины пяти христианских храмов XI-XIII вв, из которых три явно грузинского стиля.

Автор дает детальный анализ этих трех церквей, рассматривает архитектуру, художественное решение и строительный материал памятников. Археологи обнаружили выдающийся памятник христианской архитектуры, пока единственный на всем Северном Кавказе —

Этот замечательный памятник требует большего внимания.

Ныне, после того как вышел закон Верховного Совета СССР «об охране и использовании памятников истории и культуры», а Центральным Комитетом Компартии Грузии, было принято постановление «О положении в республике охраны — использования памятников истории, культуры и природы и мерах по улучшению этого дела», охрана и восстановление памятников культуры приобрело особое значение, следовательно все мероприятия в целях охраны памятников надо проводить исходя не из узко ведомственных соображений, а из соответствующих научно-исторических интересов.

руины трехцерковной базилики конца XII, начала XIII вв.

Под подкровными каменными плитами, примыкая к самой стене здания культовой архитектуры, обнаружены восемнадцать христианских погребений с маловыразительным погребальным инвентарем. При расчистке западного придела главного храма исследовано двадцать погребений, из которых только одно совершенно не по христианскому обряду. В зале церкви найдены 300 фрагментов орнаментированной алтарной преграды, прямые аналогии, которой находим в Грузии и Абхазии.

Открытие выразительных храмов грузинской архитектуры в предгорьях северо-западного Кавказа, дает автору возможность высказать следующее предположение: «известно, что у алан христианская религия стала государственной в первой четверти X века (913 — 925 гг)



при участии византийских миссионеров и активном содействии этому правителей феодальной Абхазии, но в процессе насаждения и укрепления христианизации активное участие приняла Грузия XI-XII вв, переживавшая период социально-экономического подъема.

В настоящее время приняты все меры для сохранения памятников материаль-

ной культуры. Руины архитектурного комплекса законсервированы и ниже их прекращено.

Здесь на Ильичевском городище заложены основы для музея под открытым небом.

Решением Совета министров РСФСР городище внесено в список памятников республиканского значения.

Б. КАНДЕЛАКИ

ТЫСЯЧЕЛЕТНЯЯ ГРУЗИНСКАЯ ОБИТЕЛЬ

В 1980 году исполнилось 1000 лет со дня основания в Греции, на горе Афонь Грузинского обителя — Афонского Иверского монастыря (980 — 983 гг.).

Сначала он был задуман, как религиозный центр, но вскоре Афонский Иверский монастырь стал великим научно-просветительным центром, который сыграл огромную роль в истории грузинского народа.

Во главе этого духовно-культурного центра стояли ее основатели: Иоан, Эквтим и Георгий Святогорский. В этом культурном очаге создавалась оригинальная литература, переводились книги из

всех отраслей духовной литературы с греческого на грузинский язык и наоборот. Ученые, поэты и переводчики знакомили весь мир с лучшими образцами грузинской науки и литературы.

Материальную поддержку Иверскому монастырю оказывали грузинские цари, что подтверждается дарственными грамотами, дошедшими до нас.

На Афоне Эквтим обособил особую школу литературы, грамматики и каллиграфии. Он же был выбран Эпитропом греческих монастырей.

Иверский монастырь оставил неизгладимый след в истории Грузии.

3. АГРБА

ДРЕВНОСТИ ПИЦУНДСКОГО ГОРОДИЩА

(Пицундский археологический музей)

Скоро исполнится двадцать лет со дня открытия Пицундского музея Абхазского Совета Грузинского Общества охраны памятников культуры. В статье дана краткая характеристика экспонатов этого музея.

Инициаторами организации музея на мысе Пицунда были сотрудники охраны памятников и члены Пицундской археологической экспедиции Института Истории АН Грузинской ССР.

Музей открыт в помещении Пицундского храма X века. После реставрации храма, бывшие монашеские кельи превратились в выставочные залы музея. С целью лучшего экспонирования археологи-

ческих предметов были реконструированы его отдельные части.

Согласно экспозиционному плану в трех залах размещен археологический материал и макеты древних архитектурных памятников. В первом зале, в большой витрине, представлены предметы доантичной эпохи, материалы поздней бронзы и фрагменты так называемой «текстильной керамики». Затем посетители знакомятся с генпланом города-крепости Питиунт.

Среди многочисленных археологических находок на территории мыса Пицунда самые ценные — это пицундские моза-



ники, относящиеся к шедеврам античного искусства. Кроме мозаик культового назначения, в качестве уникальных экспонатов, представлены и мозаики гражданского характера, украшавшие в былые времена дворцовые сооружения города Питиунта.

Кроме вышеперечисленных предметов в первом зале экспонирован следующий археологический материал: образцы боевого оружия, строительный материал, керамическая тара, разные украшения, керамические светильники, две бронзовые статуетки из Пицундского городища и т. д.

Во втором зале дан макет типичной римской позднеантичной бани, которая функционировала во время пребывания здесь римских легионеров. Изготовлена большая карта из цветного металла, ото-

бражающая торговые отношения Антионта с внешним миром.

Для археологических и архитектурных памятников раннего средневековья выделен отдельный зал. Здесь в основном экспонированы макеты двух церквей ранне-византийской эпохи с Алахадзы, план Пицундской двухабсидной церкви и виды Пицундского храма X века, выполненные отдельными художниками в XVIII — XIX вв.

Музей систематически обогащается материалами, которые найдены во время археологических раскопок.

С каждым годом увеличивается число посетителей музея. Их обслуживают высококвалифицированные экскурсоводы.

Пицундский храм, где кроме музея размещен зал органной музыки, является одним из интереснейших объектов Советского причерноморья.

Дж. АПАКИДЗЕ

НОВЫЕ НАХОДКИ БРОНЗОВЫХ ТОПОРОВ В МЕЖДУРЕЧЬЕ ИНГУРИ И АБАША

В статье описаны новые случайные находки бронзовых топоров, так называемого «колхидо-кобанского» типа (XIV—VII вв. до н. э.), обнаруженные при различных обстоятельствах за последние 15 лет, в междуречье Ингури и Абаша, в Западной Грузии. Автором составлена археологическая карта данного региона, на которую

нанесены как старые (В), так и новые, еще неизвестные в науке пункты (А) находок бронзовых топоров. Выявлены новые варианты колхских топоров, исследованы миниатюрные топоры из данной области.

Новые находки позволяют выделить районы Колхской культуры.

С. САЛУКВАДЗЕ

ТАЙНЫ МАГАЛААНТСКОГО ХРАМА

Недалеко от Мцхета, в долине реки Кавтура сохранился значительный средневековый памятник — Магалаантский храм. Здесь был обнаружен склад для хранения медикаментов. Помещение полуподвального типа и занимает 10 кв. м. На каждой стене расположены двадцатисантиметровые прямоугольные ниши в 9 рядов. Всего на трех стенах обнаружено 459 ниш.

Во дворе храма сохранилось множество уже дикорастущих лекарственных трав. Здесь же был и труд

для разведения медицинских шиваев, куда вода поступала по тайной трубе. В результате предварительных археологических раскопок были найдены: металлические щипцы, бронзовый сосуд, который вмещает до 20 граммов жидкости.

Новое открытие представляет большой интерес для истории Грузинской фармации и лекарствоведения. Археологические раскопки и изучение помещений аптеки в Магалаантском храме продолжаются.



საქართველოს
წიგნწერის კავშირი

Ф. ДЕВДАРИАНИ

ЗАКАЗЧИК МИНИАТЮР КАТОЛИКОС НИКОЛОЗ

Рассмотрение деятельности Николхоза Амилахори, известного исторического лица последней четверти XVII века, дает определенное впечатление об общественно-культурной жизни центральной части Грузии — Каргли в период создания миниатюр Анчисхатского Гулани.

Деятельность Николоза, протекавшая на протяжении 10 лет (1678—1688 гг.) имела разносторонний характер. Заселенные по его инициативе опустевшие деревни и построенные им различные хозяйственные соору-

АНЧИСХАТСКОГО ГУЛАНИ — АМИЛАХОРИ

жения способствовали оживлению экономической жизни страны.

Особое значение имела ктиторская деятельность Николоза — строительство церквей, дворцов, восстановление древних храмов, украшение их росписями и т. д. — способствующая поднятию культурного урория. В то же время, такая деятельность являлась значительной силой, направленной на укрепление христианства, являющегося органической частью национально-освободительной борьбы от нашествия иноземных захватчиков.

Н. ТОМАДЗЕ

ПАМЯТНИКИ КУЛЬТУРЫ ТРЕБУЮТ БЕРЕЖЛИВОГО ОТНОШЕНИЯ

В селе Деиси (Орджоникидзевский район) стоит значительный памятник архитектуры — церковь XIX века «Св. Квирик». Памятник сильно поврежден, разрушена колокольня и перекрытие церкви.

В последнее время, когда столь боль-

шое внимание уделяется выявлению, охране, реставрации и пропаганде памятников культуры, жители села Деиси хотят взять шефство над церковью и оказать надлежащее внимание и заботу этому памятнику XIX века.

ПАМЯТИ Л. М.

Статья посвящена памяти Левана Химшиашвили, архитектора-реставратора и педагога, который всю свою жизнь, творческие силы, энергию посвятил делу охраны и реставрации памятников культуры Грузии.

Л. Химшиашвили, директор специальной научно-реставрационной мастерской, одновременно являлся профессором и деканом кафедры архитектуры при Академии художеств.

ХИМШИАШВИЛИ

Принцип восстановления памятников архитектуры, разработанный Л. Химшиашвили имеет огромное практическое значение и служит основой для реставрации многих разрушенных памятников.

Друзья, ученики, коллеги, члены общества охраны памятников будут бережно хранить в памяти имя Левана Химшиашвили — благородного человека, прекрасного архитектора-реставратора и общественного деятеля.

საქართველოს წიგნწერის კავშირი

დასრულებულია წიგნის მომზადება და გამოცემა. მისი სახელია: საქართველოს მემკვიდრეობის დაცვა. წიგნი შედის "საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის" სერიის მეორე ნომერში. მისი ღირებულებაა 100 ლარი. წიგნი შეიძლება შეიძინოს საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის ცენტრში, მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109. მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109. მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109.

დასრულებულია წიგნის მომზადება და გამოცემა. მისი სახელია: საქართველოს მემკვიდრეობის დაცვა. წიგნი შედის "საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის" სერიის მეორე ნომერში. მისი ღირებულებაა 100 ლარი. წიგნი შეიძლება შეიძინოს საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის ცენტრში, მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109. მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109. მისი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109.



I. ADAMIA

ARCHITECTURE OF THE MONASTERY COMPLEX OF EKI

We continue publication of the article by I. Adamia «Architecture of the monastery complex of Eki», where the author gives

a detailed analysis of the little known monument, which is situated in the village of Eki (Tskhakaia district).

B. JORBENADZE

THE MONASTERY COMPLEX OF THE VILLAGE OF SIONTGORI

In the south-western part of the Ertso Valley (Tianeti district), close to a village named Siontgori there stands on a hill the monastery complex comprising two churches, a tower, «marani» (wine storage place) and ruins of living quarters.

The architecture of the tower and «marani» consisting of two rooms bears the typical features of the late medieval period, especially characteristic of structures in Kartli and Kakheti in the 17th-18th centuries.

The first church is of hall type. Inside the church is a crumbled burial place which is assumed to be the tomb of the 8th cent. Georgian king Archil II (719-745 A. D.). According to the written records and oral legends, it was he who built this church.

The second church is completely in ruins now, and of the living quarters only the foundation and the remnants of the fire-place flue have survived.

This remarkable relic of the past stands in need of greater attention and care.

G. CHANISHVILI

ON SOME PROBLEMS OF THE PROTECTION OF MONUMENTS

In early 1980, the film-shooting team of the film studio «Gruzia Film», with good intentions brought from various regions of Southern Georgia the samples of domestic utensils, sculptures for religious worship and fragments of architectural monuments. These samples are now exhibited in the studio courtyard.

The stones are of artistic and aesthetic value and also present some interest for the history of Georgia's economic life.

The decorative fragments seem to be parts of the decor of the Atskuri cathedral and date back to the 11-13th cc.

Now that a law of the USSR Supreme Soviet «On the Protection and Use of Historical and Cultural Monuments», has been passed and the C.C. of the Georgian Communist Party issued a decree «On the State of Protection and Use of Cultural and Natural Monuments in the Republic and the Measures to

Improve it, — the protection and restoration of cultural monuments acquire a special significance and, consequently, all measures aimed at the protection of

monuments should proceed not from narrow-minded departmental considerations, but from appropriate scholarly and historical considerations.

M. LOZHKIN

THE MEDIEVAL MONUMENTS OF GEORGIAN ARCHITECTURE IN KRASNODAR REGION

On the early medieval Ilichevsk town site dating back to the 11–13th centuries A. D. the ruins of foundations and walls belonging to five Christian churches of Georgian style were excavated in the sixties of this century.

The author provides a detailed description of the three churches, giving account of their architecture, artistic design and building material. In the course of these excavations there were found and explored more than thirty burials, unearthed the

fragments of ornamental altar partition similar to which are found in Abkhazia and Georgia.

The discovery of the impressive temples of Georgian architecture in the north-western Caucasus proves the fact that in the process of the spreading and consolidation of Christianity among the alans a very active role was played by the Georgia of the 11–12th centuries which was undergoing a social-economic upsurge at that time.

B. KANDELAKE

THE MILLENNIUM-OLD GEORGIAN CLOISTER

The year of 1980 saw the thousandth anniversary of the foundation of the Aphon-Iver Monastery (980–983 A. D.).

At first, the monastery was set up as a purely religious centre, but soon it became a cultural and educational centre which played a great role in the history of the Georgian people.

Under the guidance of the monastery's founders — Ioan (Varazvacha), his son Ekvim and George Mtatsmindeli — great literary and scholarly work was

carried out in the monastery. Scholars, poets and translators were familiarizing the world with the best samples of Georgian literature.

At the Aphon Monastery Ekvim set up a special school of literature, grammar and calligraphy. He was also appointed «epitrop» of the Greek monasteries.

The article deals with the history of the Iver Monastery, its historical figures, and the work which was carried out in it.

Z. AGRBA

ANTIQUITIES OF THE PITSUNDA TOWN SITE

(The Pitsunda Archaeological Museum)

Soon there will be the twentieth anniversary of the opening of the Pitsunda museum of the Abkhaz Council under the Georgian Society for the Protection of Cultural Monuments.

The museum is housed in the 10th c. Pitsunda temple. After the restoration of the temple the ground floor of the structure was used as the exhibition hall of the museum.

According to the exhibiting plan, the

three halls contain archaeological material, models of ancient architectural monuments and photo exhibitions, where the achievements of leading collective farms situated on Pitsunda promontory are shown. The article gives a detailed review of this material.

The Pitsunda temple which housed, besides the museum, a hall for organ playing is one of the major attractions on the Soviet Black Sea Coast.

J. APAKIDZE

BRONZE AXES NEWLY-FOUND IN THE INGURI AND ABASHA INTERFLUVE

The paper describes the bronze axes newly found over the past 15 years in the Inguri-Abasha interfluve - a region of Kolkheti. The axes are known in

special literature under the name of «Colchian-Kobanian». The author has compiled an archaeological map, representing both old (B) points and new, thus far unknown (A), points.

S. SALUKVADZE

SECRETS OF «MAGALAANT» TEMPLE

As a result of the archaeological excavations near the town of Mtskheta, in the medieval temple called «Magalaant» a depository for keeping medicines was discovered.

It is a semibasement room with the area of 10 sq. m. and it has about 459 niches in its three walls.

In the church yard archaeological

excavations revealed a pond for rearing medical leeches, as well as metal pincers, bronze vessels, etc.

The new archaeological discovery is very valuable, and no doubt of great interest.

The presented material affords an insight into the history of Georgian pharmacy and medical history.

F. DEVDARIANI

CATHOLICOS NIKOLOZ AMILAKHORI - ORDERER OF THE MINIATURES OF THE ANCHISKHATI «GULANI»

The author of the article describes the life and public activities of Catholicos Nikoloz Amilakhori - a popular historical figure. Study of N. Amilakhori's public activities gives an insight into the political, social and cultural life of Kartli - the central part of Georgia, where the miniatures of Anchiskhati «Gulani» were made.

Catholicos N. Amilakhori was a versat-

ile scholar and a public man with wide interest and accomplishments. On initiative N. Amilakhori many devastated villages were resettled, religious cultural and economic construction was carried out. His public activities were directed at consolidating Christianity in Georgia, which appeared to be an organic part of the national-liberation struggle against foreigner invaders.

4 1992



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

საქართველოს ისტორიისა და კულტურის მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოება

Серия: Памятники материальной культуры
Выходит на общественных началах

«ДЗЕГლის მეგობარი»

(Друзья памятников культуры)
Сборник пятьдесят седьмой
(на грузинском языке)

სამომზადებელი კომისია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მე მდივანი), ოთარ თავთაძე, ირაკლი ჯაფარიანი, ნიკო კაცხიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანავლიძე, თენგიზ ფარაძე, გიორგი ჩხიბაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ცინციშვილი
რედაქტორი — ლევან მატარაძე

Редактор серии — Ираклий Цицишвили
Редактор — Леван Матарაдзе

გამომცემი საზოგადოებრივი საწესიწესაჯე

გადაცემა წარმოებს 11/11-1981 წ., ხელმოწერილია დასაბუტვად 8/VI-81 წ., ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5, სააღრ.-სავაჭროცემლო ანაწყოების ზომა 7×11,5, ქალაქის ზომა 70×108/16 რედაქციის მისამართი: ბერძენის ქ. № 19, ტელ. 99-84-47.
შეკვ. № 1809 უფ 00389 ტირაჟი 3.000

ფასი 72 კაპ.
Цена 72 коп.

საქ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, № 14.

